მესხები - სამშობლოდაკარგული ადამიანები

თბილისი
2008

წინასიტყვაობა

როგორც ცნობილია, თითქმის სამასი წელი სამხრეთ საქართველო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, რამაც მოსახლეობის სულიერ წყობასა და ცხოვრებაში დიდი ცვლილებები გამოიწვია. თურქეთის ადმინისტრაციის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად, ფიზიკური და ეკონომიკური წნეხის გამო მესხების უმეტესმა ნაწილმა ისლამი მიიღო.

მდგომარეობა სამხრეთ საქართველოში არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. იმპერიის ხელისუფალთ ვერ გაამართლეს ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილის იმედები, მათ არაფერი გაუკეთებიათ მაჰმადიანი მესხების ქრისტიანული კულტურის წიაღში დასაბრუნებლად. პირიქით, მათ ხელი შეუწყვეს სამხრეთ საქართველოში თურქული ენისა და ისლამის დამკვიდრებას, ისინი მესხებს თურქული ტერიტორიის სიღრმეში გადასახლებას აიძულებდნენ.

მესხებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება არც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შეცვლილა. მათ მოთხოვნას ქართული ენის სწავლების თაობაზე ხელისუფალნი ყურად არ იღებდნენ, ისინი აზერბაიჯანლებად გამოაცხადეს და მესხეთი ფაქტობრივად აზერბაიჯანულ კულტურულ ავტონომიად გადაიქცა.

1944 წლის 15 ნოემბერს სამხრეთ საქართველოს ხუთ რაიონში საბჭოთა ხელისუფლებამ 220 სოფლიდან მოსახლეობის გასახლების მკაცრად გასაიდუმლოებული სპეცოპერაცია განახორციელა. 125 ათასი ადამიანი, ძირითადად მოხუცები, ქალები, ბავშვები (მამაკაცები ამ დროს ფრონტზე გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდნენ), ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩასვეს სატვირთო ვაგონებში და შუა აზიასა და ყაზახეთში გაამწესეს. გზაში ყოფნის თითქმის ერთი თვის განმავლობაში სიცივით, შიმშილით და ანტისანიტარიით გამოწვეული დაავადებებით ათასობით ადამიანი გარდაიცვალა. შემადგენლობების გამცილებელი ჯარისკაცები ცხედრებს ვაგონებიდან ყრიდნენ და დაუმარხავებს ტოვებდნენ მათ.

გასახლებულთა 92% ეთნიკური ქართველი იყო, დანარჩენები კი - ქურთები, ხემშილები, თარაქამები და ყარაფაფახები.

დეპორტირებული მესხები 12 წლის განმავლობაში საკომენდატო მეთვალყურეობის რეჟიმში იმყოფებოდნენ. სტალინის გარდაცვალებისა და სკკპ XX ყრილობის შემდეგ მათ ზედამხედველობა მოუხსნეს და თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობაც მიეცათ, მაგრამ, სხვა გადასახლებული ხალხებისგან განსხვავებით მესხებს უმკაცრესად აეკრძალათ მშობლიურ ადგილებში დაბრუნება.

დეპორტირებულმა მესხებმა უკვე 1957 წელს დაიწყეს ბრძოლა სამშობლოში დასაბრუნებლად. მათ ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ ლატიფშაჰ ბარათაშვილი, ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი, მევლუდ ბაირახტაროვი, ანვერ ოდობაშევ-ხოზრევანიძე და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ-ერთი პირველი დისიდენტები იყვნენ სსრკ-ში. ლიდერები კონსპირაციულად ჩადიოდნენ მოსკოვში, თბილისში, უპირისპირდებოდნენ ხელისუფლებას. შინსახკომის ორგანოები მუდმივად უთვალთვალებდნენ და ავიწროებდნენ მათ. ამ ადამიანების ძალისხმევის შედეგად 1958 წელს მესხებმა აზერბაიჯანში, მუღამის ველზე დასახლების უფლება მიიღეს, იქ დღესაც არსებობს მათი კომპაქტური დასახლება.

უკვე 60-იანი წლებიდან ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა - ვახტანგ ჯაფარიძემ, გიორგი ზედგინიძემ, შოთა ლომსაძემ, ალექსანდრე ცუცქირიძემ და სხვებმა მათი აქტიური დახმარება დაიწყეს.

მაგრამ მესხების მოძრაობა ერთგვაროვანი არ იყო. თავი იჩინა განსხვავებულმა თვითშეგნებამ და პოზიციებმა. მესხების ნაწილი თავს ქართველებად მიიჩნევდა და მიიჩნევს, სხვები კი - თურქებად. არსებობს მესამე - ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი, რომელიც არცერთ ეროვნებასთან არ აიგივებს თავს.

სსრკ-ს საინფორმაციო საშუალებები უკვე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იყენებდნენ ტერმინებს: “კავკასიელი თურქები”, “საბჭოთა თურქები”, “მესხი თურქები”, “თურქი მესხები”. განსაკუთრებით ფართო გავრცელება ამ ორმა უკანასკნელმა ტერმინმა ჰპოვა.

პირველი რეპატრიანტი მესხები საქართველოში 60-იანი წლების დამლევს გამოჩნდნენ, თუმცა 1969 წლამდე ყველა მათი მცდელობა, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, წარუმატებლად მთავრდებოდა, მათ კვლავ ასახლებდნენ საქართველოდან.

1979 წლის თებერვალში საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა წერილით მიმართეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველ მდივანს ე. შევარდნაძეს, რომელშიც სთხოვდნენ მას “აღედგინა სამართლიანობა ქართველი ხალხის ესოდენ ტანჯულ ნაწილთან მიმართებაში და სამშობლოში დაებრუნებინა ისინი”.

1979 წლის 12 მარტს წერილზე ხელისმომწერნი შეხვდნენ ე.შევარდნაძეს, რომელმაც აცნობა მათ, რომ მზადდებოდა საქართველოს კპ ცკ-ს და მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელშიც მათი ეტაპობრივი დაბრუნება იყო გათვალისწინებული. დადგენილება 1979 წლის 4 აპრილს გამოქვეყნდა.

ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად მათ დასაბრუნებლად მაშინ ქართველი დისიდენტებიც - ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვები იბრძოდნენ, აგრეთვე ცალკეული პიროვნებები - გულაბერ ანანიაშვილი, გურამ მამულია, ომაზ ჩხეიძე და სხვები. ზოგი მათგანი შუა აზიაშიც ჩადიოდა მესხებთან, ქართული წიგნებით ამარაგებდა და ამხნევებდა მათ.

1987 წლის 8 დეკემბერს მიღებული იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება N 600 “1987-1988 წწ. საქართველოს სსრ-ში მესხების იმ ოჯახების საქართველოში ორგანიზებული გადმოსახლების შესახებ, რომლებმაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად ჩამოსვლის სურვილი გამოთქვეს”.

1989 წლისათვის საქართველოში 300 მესხური ოჯახი გადმოსახლდა.

1989 წლის 23 მაისს უზბეკეთის სსრ-ს ფერგანის ველზე მესხების გაუგონარი რბევა დაიწყო. სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლება იძულებული გახდა მესხების დასაცავად იქ ჯარი გადაესროლა და რბევების შეწყვეტა მხოლოდ რადიკალური ზომების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ლტოლვილები თვითმფრინავებით გადაჰყავდათ აზერბაიჯანში, უკრაინაში, რუსეთის ფედერაციაში, ოღონდ საქართველოში - არა.

ფერგანის ტრაგედიის შემდეგ 1989 წელს საქართველოში მესხების საწინააღმდეგო კამპანია დაიწყო, რომლის სათავეშიც აღმოჩნდნენ მათი უფლებების ყოფილი დამცველები - ქართველი დისიდენტები ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. ამ კამპანიის შედეგად კვლავ განხორციელდა მესხების დეპორტაცია.

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებიც ტოტალიტარული რეჟიმის დროს დეპორტირებული მოსახლეობის უფლებების დაცვას მოითხოვდნენ, ამ ნაციონალისტური სიშლეგის დროს უარი თქვეს ზნეობრივი პრინციპების დაცვაზე. მესხებს ერთადერთი ორგანიზაცია, “ილია ჭავჭავაძის საზოგადოება” იცავდა, რომელსაც ზურაბ ჭავჭავაძე და თამარ ჩხეიძე ხელმძღვანელობდნენ.

ერთადერთი გაზეთი, რომელიც ცდილობდა წინ აღდგომოდა მასობრივ ისტერიას, მცირეტირაჟიანი “ქართული ფილმი” იყო, რომლის რედაქტორიც ნატო ციციშვილი გახლდათ.

ლაპარაკი მესხების დაბრუნების შესახებ კვლავ 1992 წელს, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შექმნის შემდეგ დაიწყო. საბჭოში შეიქმნა “დეპორტირებული მესხების რეპატრიაციის კომისია”

1993 წლიდან მაჰმადიანმა მესხებმა კვლავ დაიწყეს ჩამოსვლა.

1996 წლიდან დეპორტირებული მესხების პრობლემის გადაწყვეტაში ჩაერთვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები: გაეროს ლტოლვილების საქმეთა სამმართველოს კომისარი, ეუთო და სხვ. დსთ-ს ქვეყნების ჟენევის სამუშაო პროცესების შემდეგ (1996-2000 წწ.) პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობამ ახალი იმპულსი შეიძინა. მას შემდეგ, რაც ამ ფორუმმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა, დაიწყო საერთაშორისო კონფერენციები 1998 წლის სექტემბერში ჰააგაში და 1999 წლის მარტში - ვენაში.

1999 წლის 27 სექტემბერს საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა, ოღონდ განსაკუთრებული პირობით, კერძოდ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციის მე-6 შესწორება ავალდებულებდა საქართველოს 2 წლის განმავლობაში ამ დოკუმენტის მიღების დღიდან შეექმნა საკანონმდებლო ბაზა დეპორტირებული მოსახლეობის რეაბილიტაციის, რეპატრიაციისა და ინტეგრაციისათვის, 3 წლის შემდეგ დაეწყო და 12 წლის განმავლობაში დაესრულებინა რეპატრიაცია.

მაგრამ, ამ რეკომენდაციების მიუხედავად, დეპორტირებული მესხების პრობლემა ამის შემდეგაც პოლიტიკური სპეკულაციებისა და თავაშვებული ანტიმესხური კამპანიის თემად რჩება, რომელიც საქართველოს, განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას მათი დაბრუნების წინააღმდეგ განაწყობს.

სამართლებრივი ბაზა მათ დასაბრუნებლად მხოლოდ 2007 წელს შეიქმნა, თანაც შეკვეცილი სახით. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში მათი რეაბილიტაციის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ნაირა გელაშვილი, მწერალი, “კავკასიური სახლის” ხელმძღვანელი.
კლარა ბარათაშვილი, ჟურნალისტი ლატიფშაჰ
ბარათაშვილის შთამომავალთა კავშირი “PATRIA”

მესხების
ეთნოგრაფია

მაჰმადიანი მესხი ქალების სამკაულები

წინასიტყვაობისმაგიერ

(ნაწყვეტი "მესხთა ეთნოგრაფიის" შესავალი ნაწილიდან)

ჯერ კიდევ 1940-იან წლებში, როდესაც ადიგენის რაიონის ჩემ მშობლიურ სოფელ უდეში სკოლის მასწავლებლად ვმუშაობდი, ძალიან მინდოდა მეცნიერებისა და ჩემი ხალხის შესწავლა.

1940 წელს პატივცემულ პროფესორ გიორგი ჩიტაიასთან შეხვედრამ ჩემი მშობლიური მხარისა და ხალხის ისტორიის შესწავლა შთამაგონა. მისი რჩევით, 1940-1944 წლებში დავიწყე ისტორიული მასალის შეგროვება ჩემი მშობლიური სოფლის, უდეს შესახებ. 1944-1956 წ.წ.-ში ამ მასალებზე მუშაობას გადასახლებაშიც (შუა აზიაში) ვაგრძელებდი.

მუშაობის დამთავრების შემდეგ 1956 წელს თბილისში პროფესორ გ. ჩიტაიასთან შეხვედრა მოვახერხე. მაგრამ გამოირკვა, რომ სხვადასხვა მიზეზებით "სოფელ უდეს ისტორია" თბილისში ვერ გამოიცემოდა. მაშინ მესხების ეთნოგრაფიული მასალის ნაწილის აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომების IV ტომში გამოქვეყნება მოვახერხე. იმ დროისთვის სოფელ უდეს შესახებ ისტორიული მასალის გარდა, ბევრი დაგროვდა ისეთიც, რომელიც მესხების ეთნოგრაფიული კვლევის ვრცელ მასალას შეიცავდა. მასზე მუშაობა ჩემი აჭარელი მეგობრების და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლების რჩევითა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დახმარებით 1956-60 წ.წ.-ში დავამთავრე.

რადგან მივხვდი, რომ ნაშრომი ქართულ გამოცემებში სინათლეს ვერ იხილავდა, გადავწყვიტე აზერბაიჯანულ ენაზე მეთარგმნა იგი.

თარგმნის პროცესში საოცარი ტრანსფორმაცია მოხდა. თავიდან ქართულ ენაზე დაწერილი ნაშრომი "სოფელ უდეს ისტორია და ეთნოგრაფიული დასკვნები" უფრო ვრცელ მონოგრაფიად იქცა, მას მესხების ეთნოგრაფია ჰქვია. ჯერ კიდევ 1940 წ. მე, როგორც ქართველმა პატრიოტმა, ამოცანად დავისახე - მესხები არ უნდა "ჩამორჩენოდნენ" აჭარლებს. ძალებისა და შესაძლებლობის მიხედვით მესხები ქართველობის აღორძინებას უნდა ეხმარებოდნენ…

ლატიფშაჰ ბარათაშვილი, 1970 წ.
ქ.მინგეჩაური, აზერბაიჯანი.

შესავალი

მესხეთი საქართველოს სამხრეთ რაიონებია - ადი-გენი, ახალციხე, ასპინძა და ბოგდანოვკა.

X-XII საუკუნეებში გაერთიანებული საქართველო თავის ეკონომიკურ, სამხედრო და კულტურულ სათავეს თავისი ქვეყნის მესამედიდან - მესხეთიდან იღებს.

მესხეთმა საქართველოს მრავალი პოეტი, მწერალი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე შესძინა. სწორედ აქ ცხოვრობდა XII საუკუნის მიწურულს დიდი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი. სწორედ აქ დაწერა მან თავისი უკვდავი პოემა "ვეფხისტყაოსანი". სწორედ აქ იშვნენ თანამედროვე მაჰმადიანი მესხების წარჩინებული წინაპრები და მათი მდიდარი კულტურული ხელობა.

მესხები პირველები აღუდგებოდნენ ხოლმე მკერდით სხვადასხვა ჯურის დამპყრობლებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ საქართველოს - ირანელებს, არაბებს, თურქებს, მონღოლებს, თემურიდებს და სხვებს, და სიცოცხლეს არ იშურებდნენ საკუთარი სამშობლოსათვის. ნადგურდებოდა და ტიალდებოდა მათი საკუთარი მიწა, მხარე, მაგრამ ეს მამაცი და შეუპოვარი ხალხი მტერს შიდა საქართველოში არ უშვებდა. ხანგრძლივი

ომებისა და ბრძოლების შედეგად მესხეთი დაცარიელდა და XVII-XVIII საუკუნეებში თურქეთის დაქვემდებარებაში მოექცა.

1578 წ. 9 აგვისტოს ჩილდირის დაბლობზე ოსმალებმა ირანის ლაშქარი დაამარცხეს, ხელთ

თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი, თბილისი, 1943 წ. შუაში ზის აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია. მარჯვნიდან მესამე დგას - კურსდამთავრებული ლ. ბარათაშვილი.

იგდეს მესხეთი და ახალი საფაშო შექმნეს. მის ადმინისტრაციულ, სამრეწველო, კულტურულ და სულიერ ცენტრად ქალაქი ახალციხე იქცა.

მესხეთის ადგილობრივ (მკვიდრ) მოსახლეობას XVII-XVIII საუკუნეებში წარმოადგენდნენ ქართველები, რომლებმაც მაჰმადიანობა ოსმალო თურქებისგან მიიღეს.

ცნობილია, რომ ქრისტიანულ საქართველოში 1861-1866 წლებამდე გლეხები თავადებს, აზნაურებს, ეკლესიებს ან მონასტრებს ეკუთვნოდნენ და მოკლებულები იყვნენ პირად თავისუფლებას.

ქრისტიანი გლეხების მიერ მაჰმადიანობის მიღება პირად თავისუფლებას ანიჭებდა მათ და მატერიალურ კეთილდღეობასაც უუმჯობესებდა.სწორედ ამიტომ ისინი სულ ადვილად იღებდნენ მაჰმადიანობას (იხ. პროფესორი ს.მაკალათია. "მესხეთ-ჯავახეთი". თბილისი, 1938, გვ. 63).

1828 წელს გენერალ პასკევიჩის ჯარმა ახალციხეში ისმაილ ფაშა ჩამოაგდო.

1829 წელს სულთან მაჰმუდ II-ის და რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ I-ის შეთანხმებით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები რუსეთს გადაეცა. რუსმა მეფისნაცვალმა პასკევიჩმა ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს "თათრები" უწოდა. დაიწყო სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანთა დევნა და ისინი, როგორც მუხაჯირები, ოსმანური ოლქებისკენ დაიძრნენ, ეს ოლქები იყო - ბურსა, ამასია, ჩორუმი, იზმირი. ამი-ტომაც იყო, რომ ახალციხური საოქრო-მჭედლო ნაკეთობების მყიდველთა რაოდენობა შემცირდა. ამავე დროს კავ-კასიაში რუსეთსა და ოსმანურ სახელ-მწიფოს შორის ახალი საზღვრის გაჩენა ხელს უშლიდა ახალციხური საოქრო-მჭედლო ნაკეთობების ახლო აზიურ ბაზარზე გასვლას. ამრიგად, ახალცი-ხური საოქრომჭედლო ხელოვნება იმ წლებში კრიზისს განიცდიდა.

XIX საუკუნის 30-50 წლებში რომანოვების იმპერიის სამხრეთი საზღვრების გასამაგრებლად სამცხე-ჯავახეთში შემდეგი ეთნიკური ჯგუფები გადმოასახლეს:

1.1810 წლის შემდეგ - ბერძნები ანატოლიიდან (იხ. "Народы Кавказа" ტომი II, გვ.423, მოსკოვი, 1962 წ.)

2. 1874 წ. - ქურთები ყარსის ოლქიდან. (იხ. ბახჩოე ისკო "ქურთები და ამიერკავკასია" სერია 10. გვ. 6, თბილისი, 1963 წ. ქართულ ენაზე).

3. 1831-32 წწ. - სომხები არზრუმიდან. (იხ. პროფ. ს. მაკალათია. "მესხეთ-ჯავახეთი". თბილი-სი, 1938წ., გვ. 68)

4. 1850-იან წლებში - დუხობორები ყირიმი-დან. (იხ. პროფ. ს. მაკალათია. "მესხეთ-ჯავახე-თი". თბილისი, 1938 წ., გვ. 68)

ამ ღონისძიებამ მიზანს მიაღწია, სამხრეთი საზღვრები ამრიგად გამაგრებული იყო. ახალ მოსახლეთა დამკვიდრების წყალობით მყიდველების რაოდენობა გაიზარდა და ოქრომჭედლობამაც განვითარება დაიწყო. არზრუმიდან ჩამოსულ და ადგილობრივ ოქრომჭედლებს შორის მეტოქეობა დაიწყო, რომელიც დროთა განმავლობაში გაძლიერდა. ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნილება საიუველირო ნაკეთობებზე. ამ მეტოქეობამ ხელი შეუწყო ოქრომჭედლობის განვითარებას.

ამ ქვეყანაში ჩამოსულმა ხალხებმა ჩამოიტანეს მათთვის დამახასიათებელი ქალის სამკაულების ელემენტები, რომლებიც მესხეთში სხვადასხვა კულტურულ დონეზე დაინერგა. ყოველი ჩამოსახლებული ეთნოსის ქალის სამკაულების ელემენტები დანარჩენებზე ზეგავლენას ახდენდა. იმავე დროს თავადაც განიცდიდნენ შემხვედრ ზეგავლენას.

საგულისხმოა, რომ ქალების ადგილობრივი სამკაულები უფრო მაღალი დონის იყო, ვიდრე ჩამოსახლებული ეთნოსებისა.

ახალციხელ ოქრომჭედლებს მდიდარი ტრადიციები, ტექნიკური ბაზა და დახვეწილი გემოვნება ჰქონდათ. ამიტომაც ისინი მესხეთში მცხოვრები ნებისმიერი ეთნოსის ქალების გემოვნებას და მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ. აქაურმა ოქრო--მჭედლებმა ახლო აღმოსავლეთშიც გაითქვეს სახელი.

“საქართველოში ოქრომჭედლობის რამოდენიმე კერაა შემორჩენილი, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სვანეთი, ლეჩხუმი, ხევსურეთი. ქალაქური საოქრომჭედლო ოსტატობის ცენტრებს წარმოადგენდა თბილისი, თელავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი და სხვ.” (იხ. “Народы Кавказа”, ტ. II გვ.264, მოსკოვი, 1962 წ.).

ახალციხელი ოქრომჭედლები უხსოვარი დროიდან ამზადებდნენ სხვადასხვა იარაღს, შავი და ფერადი ლითონების სუფრის საგნებს, სამკაულებს.

“საოქრომჭედლო ოსტატობის სფეროში ყურადღებას იმსახურებს ხელოსანთა დიდი რაოდენობის შენარჩუნება. ამის ახსნა იმით შეიძლება, რომ ბოლო დროს ახალციხე აღმოსავლეთის მნიშვნელოვან სავაჭრო ტრანზიტულ ცენტრად გადაიქცა და აქ დიდი რაოდენობით დაგროვდა ოქრო-ვერცხლი” (იხ. გ.ლ. ტივაძე “ოსმალური დერვიშობა და სოფლის აჯანყებები მე-16 საუკუნეში”, 1946 წ., გვ. 196).

ახალციხეში ძვირფასი ლითონების დიდი რაოდენობით არსებობამ, აქ დამზადებულმა სამკაულებმა და მორთულობამ, მათმა გატანამ ახლო აღმოსავლეთის, შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებზე ადგილობრივ ოქრომჭედლებს შორეულ ქვეყნებშიც გაუთქვა სახელი. ვერცხლის ნაკეთობებს გამდნარ ოქროს მასაში ავლებდნენ და აოქროებდნენ. ამზადებდნენ სასმისებს, ბეჭდებს, საყურეებს, ქინძისთავებს, კოვზებს, სამაჯურებს, ძეწკვებს, “ჯიღ-ჯიღებს”, ღილებს, “მაშალაჰებს”, მოვერცხლილ საჭიქეებს, საშაქრეებს, სარტყელებს, კალმისტრებს, საათის ბუდეებს და ა.შ.

ოსტატებს ჰქონდათ თავ-თავიანთი ალბომები საოქრომჭედლო ნაკეთობათა აჟურული ნახატებით. შემკვეთები ათვალიერებდნენ ამ ნიმუშებს და ერთ-ერთ მათგანს ირჩევდნენ.

1937 წელს საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოებამ სამცხე-ჯავახეთში მიავლინა ეთნოგრაფიული ექსპედიცია პროფესორ სერგი მაკალათიას ხელმძღვანელობით. ამ ექსპედიციის მასალებში შეიძლება ახალციხის საოქრომჭედლო ოსტატობის საინტერესო დეტალები ვიხილოთ.

“შეკვეთის დროს ვერცხლს ჯერ წონიდნენ და ამის შემდეგღა იწყებდნენ ვერცხლის ზოდის გადნობას. ზოდს ლითონის ჭურჭლით დგამდნენ საბერველზე. გამდნარ ვერცხლს რკინის ღარში ასხამდნენ. რომ გაცივდებოდა, ის მსხვილ ვერცხლის მავთულად გადაიქცეოდა. შემდეგ იწყებდნენ ამ მავთულის რამდენჯერმე დაწვრილებას. ამგვარი სახით დამზადებული ვერცხლის მავთული მოსართავებისა და სამკაულის დასამზადებლად საფუძველს წარმოადგენდა.

ვერცხლის ნივთებს უპირველეს ყოვლისა ამოკვეთდნენ და ასევადებდნენ. შემკვეთის მოთხოვნით ვერცხლს აღიავებდნენ და ოქროს წყალში ავლებდნენ...” (იხ. პროფ. ს. მაკალათია. “მესხეთ-ჯავახეთი”, თბილისი. 1938 წ., გვ. 80-82).

მესხებს უფლება აქვთ სიამაყით დაეყრდნონ საკუთარ ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობას, განსაკუთრებით კი ხელოსნობის ისტორიას.

მოცემულ ნაშრომში გამოყენებული ეთნოგრაფიული ცნობები ავტორს სხვადასხვა დროს 1944 წ. დეპორტირებულმა მესხეთის მკვიდრებმა მიაწოდეს.

მაშალაჰი

სიტყვა “მაშალაჰი” (სპარს.) შემდეგს ნიშნავს - “დე, იყოს ისე, როგორც ალაჰს ნებავს”. ისევე, როგორც მთელ ისლამურ სამყაროში, მესხ მაჰმადიანებსაც სჯეროდათ გათვალვის. გათვალვას ეწოდებოდა “ბედნაზარ”. ადგილობრივთა წარმოდგენით, თუ ლამაზ ბავშვს, ქალიშვილს ან ახალგაზრდა ქალს ადამიანი-ბედნაზარი შეხედავს, შეიძლება ისინი ავად გახდნენ ან მოკვდნენ კიდეც. თუ ასეთი ბედნაზარები (ანუ “ცუდი” თვალის მქონე ადამიანები) ადამიანს, ცხოველს ან სულაც რაიმე საგანს მიაჩერდებოდნენ, მათ აუცილებლად რაღაც უბედურება, ხიფათი შეემთხვეოდათ. ბავშვების, ახალგაზრდებისა და საპატარძლოების

მაშალაჰი

ბედნაზარისაგან დასაცავად მათთვის კისერზე “მაშალაჰი” უნდა ჩამოეკიდნათ. საშინელებისაგან და მოჩვენებებისგან თავდასაცავად, ღამ-ღამობით კოშმარების თავიდან ასარიდებლად, ორსული და მშობიარე ქალების ალებისგან დასაცავად მათ მაშალაჰი უნდა ეტარებინათ.

მაშალაჰი მრგვალი გეომეტრიული საგანია. ახალციხეში მას ქართველი, ლეკი და სომეხი ოქრომჭედლები ვერცხლისგან ამზადებდნენ, ზედაპირს ასევადებდნენ და სხვადასხვაგვარ ნახჭებს ტვიფრავდნენ ზედ. შუაში მსხვილი არაბული ასოებით კვეთდნენ წარწერას - "მაშალაჰ". კიდეებზე პატარა ასოებით კვეთდნენ ამავე სიტყვას.

თუ მაშალაჰი ბიჭისთვის იყო განკუთვნილი, შუაში მას ნახვრეტს უკეთებდნენ, რომელშიც ყუნწს უყრიდნენ, ამ ყუნწით მაშალაჰს ფესკის უკანა მხარეს აკერებდნენ. ასეთ შემთხვევაში მაშალაჰის წარწერა ადვილად იკითხებოდა. ხოლო თუ მაშალაჰი ახალგაზრდა ქალებისთვის იყო განკუთვ--ნილი, მას ასევე შუაში ხვრეტდნენ, ყუნწს უყრიდნენ და ამ ყუნწით ფუსტანს (პიჯაკის სახეობაა) მკერდზე აკერებდნენ.

თექე

თექე კათხის ნაირსახეობას წარმოადგენს. ის ქალების თავსამკაული იყო და XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს მაჰმადიანი ბეგების ოჯახებისა და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სულიერი მამების ინიციატივით გაჩნდა.

ძვირფასი თვლებითა და ფერადი ლითონების მონეტებით შემკულ თექეს პატარძალს მამამთილი და დედამთილი ჩუქნიდნენ. პატარძალი თავის მხრივ, დედამთილი რომ გახდებოდა, თავის რძალს ან იგივე თექეს სჩუქნიდა ან საჩუქრად ახალს ამზადებინებდა.

ჩვეულებრივ თექე ოჯახის წევრების - ბებიების ან ახალგაზრდა ქალების ხელით ირთვებოდა.

თექე სამი ნაწილისგან შედგებოდა:

1. კვერცხის მოყვანილობის ფსკერს სქელი მუყაოსგან ჭრიდნენ. ამ მუყაოს შავი ფერის ბამბის ქსოვილში ახვევდნენ და მჭიდროდ შემოკერავდნენ.

2. ირგვლივ ნაწილს - არშიას შემოსახვევის საშუალებით ამაგრებდნენ ფსკერზე. თექეს გარს ჩვეულებრივ, ფსკერის ფერისგან განსხვავებულ ხავერდის ქსოვილს შემოაკრავდნენ, თექეს გარშემოწერილობას - ქობას ამკობდნენ. მასზე ოქროს მოჭრილი მონეტების ჩამოსაკიდებლად ყვითელი აბრეშუმის ძაფით თექეს ქობაზე ოქროს ან ვერცხლის ძეწკვს აკერებდნენ. ოქროს ჭედურ მონეტებს ძეწკვზე სიმეტრიულად ჰკიდებდნენ ზედ და აბრეშუმის ძაფით ამაგრებდნენ.

3. თექეს ზედა სამკაული. ზედა ნაწილზე, პირდაპირ თექეს შუაში ოქროთი გამოჰყავდათ ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის გამოსახულება.

თექე თავზე ორი მხრიდან მაგრდებოდა. ხორცისფერი ზონარი გაყრილი იყო გვერდითი ნაწილიდან მარცხნიდან ყელქვეშ და მარჯვნივ ძეწკვის ბოლოზე ღილკილოთი მაგრდებოდა. მარცხენა მხარეს დამაგრებული შავი ზონარი ასევე ტარდებოდა თმების ქვეშ და მარჯვენა მხარეს მაგრდებოდა.

მესხი სოფლელი ქალების კათხებისგან თექე თავისი სტრუქტურით, თავზე ჩამოსაცმელით და ფასით განსხვავდებოდა.

თექე არც სპარსულ "გიულაჰს" გავდა, არც უზბეკურ თუ ტაჯიკურ "დოფუს" (ტიუბიტეიკას), და არც აზერბაიჯანულ "არაღჩინს". ამ სახის ქალის თავსამკაულის ამ ტიპის ელემენტი არც მეზობელ ეთნოსებს ჰქონიათ.

მესხეთის მკვიდრი მაცხოვრებლები მესხები იყვნენ. მერე და მერე აქ ებრაელების, თარაქამების, მოგვიანებით ბერძნების, ქურთების, სომხების, მოლაკნების ეთნიკური ჯგუფები ჩამოსახლდნენ - ყველა თავთავის კულტურით. როგორც ადგილობრივმა კულტურამ, რომელიც მათ აქ დახვდა, ზეგავლენა იქონია მათ კულტურაზე. ისე, შეუძლებელი იყო თავად მათაც, თავის მხრივ, ადგილობრივ კულტურაზე არ მოეხდინათ ზეგავლენა.

ქალის სამკაულების ახალი ელემენტების ჩასახვამ სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მესხების გარემოში, მათთვის სათანადო მიმართულების მიცემისა და ტრადიციულად გადაქცევის აუცილებლობამ ისეთი მოვლენა შვა, როგორიცაა ქალების სეირნობა "გიზ-გიალინ" ("საპატარძლო ქალიშვილები"). წელიწადში ერთხელ, ივნისის ბოლოს - ივლისის დამდეგს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებშ ტარდებოდა ქალების დღესასწაული. ეს დღესასწაული ძალიან დიდი ხნის წინ იშვა, როგორც ხალხური ჩვეულება და როგორც წესი, დიდი სოფლების სამოვრებზე იმართებოდა ხოლმე. ყოველ რაიონში ის ადგილობრივი მოსახლეობის ნება-სურვილის შესაბამისად იმართებოდა დაახლოებით 10-15 დღის განსხვავებით. ასეთ დღესასწაულებზე იმართებოდა საბრძოლო შეჯიბრებები, ხარებისა და კამეჩების ბრძოლა, ცხენებით ნავარდი, აგრეთვე ცეკვები, სიმღერა და დეკლამაცია მუსიკის თანხლებით. ამ სანახაობის ხელმძღვანელებად, როგორც წესი აქსაკალებს (პატივცემულ, დარბაისელ ადამიანებს) ირჩევდნენ. მათ უფლება ჰქონდათ სხვადასხვა შეჯიბრებაში გამარჯვებულები ცხვრით, თხით, ყოჩით, ბატკნით, ერბოთი ან ყველით დაეჯილდოებინათ.

"გიზ-გიალინის" დღესასწაულზე დღისით დოლსა და ორმაგ ზურნაზე უკრავდნენ, საღამოთი კი ბალაბანზე (ზურნის ნაირსახეობა), დუდუ-

კზე დაირაზე დაკვრის თანხლებით. ამ დღეებზე მომღერლებსა და აშუღებს შორეული რაიონებიდან იწვევდნენ. არისტოკრატთა ოჯახებს ამგვარ ზეიმებში მონაწილეობა საკუთარი ღირსებისათვის შეუფერებლად მიაჩნდათ.

სამკაულებისა და ფუფუნების მოდას ბეგების ქვემოთ ჩამოთვლილი ოჯახები კარნახობდნენ. ქვაბლიანში (ახლანდელი ადიგენის რაიონი) სულეიმან-ბეკ ხერხეულიძის, ახალქალაქის რაიონში ფალავანდოვების ბეგების ოჯახი სოფელ ხოსპიადან, საღამოს ბეგებიდან - ულკერ ბატონი, ხოლო ახალციხის რაიონში აწყურელი ბეგები მუხრანელთაგანი - ტატი-ბატონ დურია და სხვები.

კათხა

"კათხა" XIX-XX საუკუნეების მესხი ქალების თავსაბურავი და თავსამკაულია. მესხი ქალების თავსაბურავები მამაკაცისაზე უფრე მეტიც იყო და უფრო მრავალფეროვანიც. ქალების თავსაბურავები შალის, ბამბის, სელის ან აბრეშუმის ქსოვილისგან მზადდებოდა. ეს თავსაბურავები ქალის ასაკის, ოჯახური მდგომარეობისა და ფენის მიხედვით განსხვავდებოდა. განსხვავებული იყო მათი სამკაულად გამოყენების სფეროებიც. ასე, მაგალითად, მუშაობის პროცესში, სახლში, ქორწილებში და დღესასწაულებზე, დაკრძალვაზე და ქელეხში, წელიწადის სხვადასხვა დროს - თითოეული შემთხვევისთვის თავის ფერსა და ფასონს ირჩევდნენ.

კათხა "ჩიხტის" (ქართლელი ქალების თავსამკაული) ერთ-ერთი ნაირსახეობა და მესხი ქალების ძირითადი თავსაბურავია. გათხოვებამდე ქალიშვილები კათხას არ იხურავდნენ. დღიდან გათხოვებისა ქალიშვილი იწყებს კათხის ტარებას. კათხით თავდახურული ქალი უფრო მაღალი, უფრო წარმოსადეგი ჩანს. კათხის კიდევ ერთი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მის წინა ნაწილზე, შუბლზე დაკერებული ოქროს მონეტები (ერთი, სამი ან ხუთი) ქალის შეძლების მაჩვენებელია.

კათხა ძალზე მარტივია დასამზადებლად და ორი ნაწილისგან შედგება:

1. ზედა საფარი. მზადდებოდა კვერცხის მოყვანილობის მუყაოს ქაღალდისაგან. მისი სიგრძე დაახლოებით 15 სანტიმეტრია, სიგანე - 10 სანტიმეტრი.

2. მუყაოსგანვეა გამოჭრილი ქობა, რომლის წინა ნაწილი 3-4 სმ. სიგანისაა, უკანა კი - 2-3 სმ.

მუყაოს საფარს შიგნიდან შემოკერებული ჰქონდა შავი ქსოვილის სარჩული, ზევიდან კი - მწვანე ხავერდი. რაც შეეხება ჩიხტს, მასაც შიდა მხარეს შავ ქსოვილს შემოაკერებდნენ, გარეთა ნაწილს კი წითელი ხავერდით ამკობდნენ. კათხის ორივე ნაწილს ცალ-ცალკე ამზადებდნენ, მერე კი შესაბამისი ფერის ძაფით აკერებდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც კათხას გაკერავდნენ, ჩიხტს გარეთა პირის მთელ გაყოლებაზე (ზევიდან და ქვევიდან) არშიით ამკობდნენ.

კათხას სიმეტრიულად ამკობდნენ: შუაში მსხვილი, კიდეებში კი წვრილი მოჭრილი მონეტებით. მდიდრები, როგორც წესი, კათხას ოსმანურ ოქროს მონეტებს აკერებდნენ. ჩვეულებრივ, ეს იყო ხოლმე:

1. "მაჰმუდიის თურგალები" (სულთან მაჰმუდის პატივსაცემად მოჭრილ მონეტებს "მაჰმუდიებს" ეძახდნენ).
2. "სანდიღლი მაჰმუდია"
3. "იაზილი მაჰმუდია"
4. "აინალი მაჰმუდია"
5. "რუბიიე"
6. "გაზი"
7. "ფიფანორი".

გარდა ამისა, ნაირფერ მძივებსა და"ბისერსაც" აკერებდნენ.

კათხის თავზე დასამაგრებლად ქობას მარცხენა და მარჯვენა მხარეს პატარა სადაფის ღი-ლებს ამაგრებდნენ. მარცხენა ღილზე ორი მტკავე-ლის (დაახლოებით 20 სმ.) სიგრძის შავ ან თეთრ ყაითანს შემოაკერებდნენ. ამ ყაითანს ნიკაპქვეშ გამოატარებდნენ და მარჯვენა ღილზე რამდენჯერმე გადაახვევდნენ.

კათხას ამრიგად, თავზე რომ დაამაგრებდნენ, მას ლეჩაქს აფარებდნენ (მარლის ან ტიულის თავსაფარი), რომელზეც მერე შალის თავშალს მოიხვევდნენ ხოლმე. თითოეულ მათგანს - ლეჩაქსაც და შალსაც ქინძისთავებით ცალ-ცალკე ამაგრებდნენ კათხაზე. კათხის ხარისხი მისი მორთულობითა და სამშვენისებით ფასდებოდა.

მდიდარი ოჯახის ქალების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა საპატარძლოების კათხაზე ოსმალურ "მაჟარებს" (სახელწოდება ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ოქროს მონეტებიდან მომდინარეობს) და რუსულ ოქროს მონეტებს ჰკიდებდნენ. ამისთვის კი ახალციხელი ოქრომჭედლები მონე--ტებს ყუნწებს უკეთებდნენ. მესხი გლეხების რწმენით, თუ მოჭრილ მონეტას ყუნწი უკეთდება, ის, როგორც ფული, თავის დანიშნულებას კარგავს და მხოლოდ ძვირფასი ნივთის, სახელდობრ კი, სამკაულის სახით გამოიყენება. ამგვარი ძვირფასეულობა ბევრად უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე ჩვეულებრივი მოჭრილი მონეტები და მას დიდხანს ინახავდნენ ხოლმე ოჯახში და თაობიდან თაობას გადასცემდნენ ხოლმე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყო ამ ძვირფასეულო-

ბის ფულზე გადაცვლა. მან ჩვეულებრივ მონეტაზე მეტი ნომინალური ღირებულება შეიძინა.

ღარიბ ოჯახებში კათხას უფრო თეთრი ლითონის ნაკლები ღირებულების მონეტებით (შეიძლებოდა ეს ოსმალური ყურუში და ფარა ყოფილიყო) ამკობდნენ. ნაკლებად იყო მიღებული კათხის რუსული ოქროს მოჭრილი მონეტებით შემკობა იმიტომ, რომ XIX საუკუნეში მაჰმადიან მესხებს არ მოსწონდათ ჯვრების გამოსახულება რუსული ფულის ღერბზე. შემდგომში ამ ნიშანმა მნიშვნელობა დაკარგა და რუსული მოჭრილი მონეტებით შემკულ კათხასაც ხშირად შეხვდებოდით.

მესხი ქალების თავსაბურავი კათხა, ისევე, როგორც ქართელი ქალების ჩიხტი XIX-XX საუკუნეებამდე შემორჩენილი ქართველ ქალთა ძვე-

კათხა

ლი დროის გვირგვინის ნაირსახეობას და ქალის სოციალური მდგომარეობის მაჩვენებელი იყო.

ბეგებისა და მაჰმადიანი სასულიერო პირების - მუფთიების ცოლებს კათხის ტარება მათთვის მიუღებლად მიაჩნდათ. თავსამკაულად ისინი "ჩაქათს" ხმარობდნენ.

XIX-XX საუკუნეებში კათხის მსგავსი თავსაბურავები ევროპისა და აზიის ხალხებში ძალიან იშვიათი იყო.

კათხის შედარებისას XIX საუკუნის ისეთ აზერბაიჯანულ ქალის თავსაბურავებთან, როგორიცაა ყარაბაღული "გიულაჰი", ყარაბაღული "არაღჩინი", ბაქოური "ორაღჩინი", ირკვევა, რომ ნაირფერად შემკულ არაღჩინს, რომელიც დახვეწილი ხელით შრომის ნაყოფს წარმოადგენს, შეიძლება მაინც ქალის ქუდის ნაირსახეობა ეწოდოს, მაშინ, როცა კათხა ქალის სამკაულს წარმოადგენს.

თუმცა ტაჯიკური, ბუხარული,ფერგანული, ტაშკენტური და სამარყანდული "ტიუბიტეიკები" ზომით აზერბაიჯანულ არაღჩინებზე გაცილებით პატარაა, მათაც უფრო ქალის ქუდი ეთქმის. იმიტომ, რომ მათი ძირითადი დანიშნულება თავის სიცხისა და სიცივისგან დაცვაა.

კათხა სომეხი ქალების თავსამკაულს "ბალს" და აზერბაიჯანის შეკინის ზონის ქალების "ჯიარგიაგიულსაც" ჰგავს.

ამრიგად:

XIX-XX საუკუნეებში მესხი ქალების თავსაბურავი, კათხა ძველი ქართლური ჩიხტის ნაირსახეობას წარმოადგენდა. მისი გაჩენა და განვითარება ადგილობრივ პირობებში დასრულდა. მის ზოგიერთ ელემენტზე მესხეთში ჩასახლებული ეთნიკური ერთეულების ზეგავლენა ჩანს. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული კათხა იძულებული გახდა თავსამკაულების მთავარი როლი ფაბრიკის მიერ დამზადებული თავსაბურავებისა და სხვა თავსამკაულებისთვის დაეთმო.

ჩაქათ-ჯავშაგი

როგორც აღინიშნა, ოქრო-ვერცხლით როგორი შემკულიც უნდა ყოფილიყო კათხა, მესხ მაჰმადიან არისტოკრატ მანდილოსნებს კათხის ტარება ღირსეულად არ მიაჩნდათ. ბეგების, აღალარებისა და სასულიერო წინამძღვრების ცოლები შუბლის სამკაულს, ჩაქათს ხმარობდნენ.

ჩაქათი მართკუთხა მოყვანილობის 18-20 ოქროს ფირფიტისაგან შედგებოდა. თითოეულის სისქე 0,5 სმ, სიგრძე კი 2,5 სმ იყო. მათ ზედა და ქვედა ნაწილებში პარალელური ნახვრეტები იყო გაკეთებული. ყველა ნაწილი ერთმანეთს ყვითელი ფერის აბრეშუმის ძაფით უკავშირდებოდა.

ქალი თავზე ჯერ დიდ აბრეშუმის თავსაფარს იფარებდა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოიცვამდა შუბლზე ჩაქათს, მას კი ოქროს სამკუთხედების შემაერთებელი ძაფებით იმაგრებდა კისერზე. აბრეშუმის თავსაფარი შეიძლებოდა სხვადასხვა ფერისა ყოფილიყო.

ბეგების ცოლებს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ბოლო დრომდე "ბატონს" უწოდებდნენ. ამ სიტყვას მაჰმადიანი მესხები დღესაც ხმარობენ. (სხვათა შორის, მაჰმადიან მესხებში ძალიან არის გავრცელებული ქალის სახელები ბოლოსართით "ბატონი", მაგალითად, გიულბატონი).

როგორც წესი, ჩაქათს ახალგაზრდა საპატარძლოებისათვის უკვეთავდნენ. ხოლო როდესაც ის

თავის ჯერზე დედამთილი ხდებოდა, “ნიშნის” სახით ვაჟიშვილის საცოლეს საკუთარ ჩაქათს ჩუქნიდა. ხოლო თუ სასიძოს ოჯახი ძალზე შეძლებული იყო, საპატარძლოსათვის ახალ ჩაქათს ამზადებინებდნენ.

ქალაქ ახალციხეში, მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე, ახალქალაქში მომუშავე ოქრომჭედლები ლეკები იყვნენ. 1830-იანი წლებიდან

მოყოლებული, მათ არზრუმიდან გადმოსახლებული სომეხი ოქრომჭედლებიც დაემატნენ. ძველი ახალციხე მდინარე ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. ამ ადგილს ძველთაგანვე რაბათს ეძახდნენ. რაბათელი ოქრომჭედლები, ისეთები, როგორებიც იყვნენ ანტონ გიორგაძე, გიორგი ხმალაძე და სხვები ყველაზე უფრო დახელოვნებულები და შემკვეთებში პოპულარულები იყვნენ. მათი ნახელავი მოწონებით სარგებლობდა და კარგადაც იყიდებოდა ახალქალაქის მაზრის, ფოცხოვის, არდაგანის, შავშეთის, აჭარის, ჯავახეთისა და ქართლის არისტოკრატებში.

ჩაქათს ორი სახელწოდება ჰქონდა. თავად ახალციხესა და უფრო დასავლეთით მცხოვრებნი მას “ჩაქათს” უწოდებდნენ, ახალციხის მაზრის აღმოსავლეთი ნაწილის მცხოვრებნი კი - “ჯავშაგს”.

ეს სამკაულები იტალიელი მოგზაურის კასტელის ალბომშია წარმოდგენილი (იხ. ი.ჯავახიშვილის “ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის”, თბილისი,1962 წ. გვ 31, ცხრ.51, ნახ. 1-8).

კიუფე (საყურეები)

საყურე მესხი ქალების განუყოფელი ნაწილია. გოგონებს ჩვილის ასაკში უხვრეტავდნენ ყურებს და ორი-სამი დღის შემდეგ თეთრი ძაფის მარყუჟებს უყრიდნენ. მას შემდეგ, რაც გახვრეტილი ყურები შეხორცდებოდა, შეიძლებოდა კიუფეს გაყრა.

კიუფე ფერადი ლითონებისგან მზადდებოდა. შეძლებულ ოჯახებში გოგონებისა და ქალებისათვის კიუფეს ოქროსგან აკეთებინებდნენ, რომელშიც ძვირფას თვლებს ასმევინებდნენ. სოფლელები კი აჟურულ ვერცხლის კიუფეს აკეთებინებდნენ. სპილენძის, ცინკისა და კალის კიუფეებსაც აკეთებდნენ.

თუ კიუფეს ქალიშვილს მისი ნათესავები უმზადებდნენ, ის იაფი იყო ხოლმე. ხოლო თუ კიუფეს სარძლოს საქმროს მხარე მიართმევდა, ის ძვირფასი ლითონისა უნდა ყოფილიყო. თუ კიუფე საპატარძლოსთვის შეკვეთით მზადდებო-და, ის აუცილებლად მარჯნით, იაგუნდით და სხვა იშვიათი ძვირფასი ქვებით უნდა ყოფილიყო შემკული, სიმდიდრისა და გემოვნების შესატყვისად.

ბეგების წრეში კიუფე აუცილებლად ოქროსი, თანაც ძვირფასი ქვებით უნდა ყოფილიყო შემკული. სამივე წოდებაში ახალგაზრდა საპატარძლოს კიუფე უფრო ძვირფასი იყო ხოლმე, ვიდრე გოგონების, ქალებისა და მოხუცებულებისა. ახალგაზრდა საპატარძლოსთვის განკუთვნილ კიუფეს პატრონის ალმასებით, ბრილიანტებით, ლალებითა და მარგალიტებით ამკობდნენ.

როგორც უკვე აღინიშნა, XIX საუკუნის დამლევს - XX საუკუნის დამდეგს ქვეყანაში შემდეგი სახის კიუფეები იყო მოდური:

1. მოძრავ მარყუჟზე ჩამოკიდული ოქროს ან ვერცხლის ბურთულა.
2. მოძრავ მარყუჟზე ჩამოკიდული ნახევარსფერო.
3. მოძრავ მარყუჟზე ჩამოკიდული ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ან სხვა ლითონების ქობა.
4. მოძრავ მარყუჟზე ჩამოკიდული მრგვალი ფირფიტის სახით.
5. მოძრავ მარყუჟზე - ნახევარმთვარის სახით.
6. მოძრავ მარყუჟზე - მრავალკუთხა ფირფიტის სახით.
7. მოძრავ მარყუჟზე - ვაზის ფოთლის სახით.
8. მოძრავ მარყუჟზე - სხვადასხვა ბალახეულის ფოთლების მოყვანილობის ფირფიტის სახით.
9. საბავშვო მძივები. აბრეშუმის ძაფზე აცმული 2-3 მძივის სახით.

10. მოძრავ მარყუჟზე - სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის ფირფიტები.

ქალაქ ახალციხის ხელოსნები - საყურეების ოსტატები ორი ჯგუფისგან შედგებოდნენ. ერთნი ქალაქის ძველ ნაწილში, მდინარე ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის მაღლივ ნაწილში, რაბათში მუშაობდნენ. ეს ქართველი ოსტატები, უძველესი დროიდან მოყოლებული, ადგილობრივი ხელოსნები იყვნენ.

თავიდან შემკვეთი ხელოსანს კიუფეს ყველა მაჩვენებელს უხსნიდა და შეკვეთის საფასურის ნახევარს უხდიდა. როცა კიუფე უკვე მზად იყო, საფასურის მეორე ნახევარს იხდიდნენ და კიუფე მიჰქონდათ.

ოქრომჭედელთა მეორე ნაწილი მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე და ეგრეთ წოდებულ "პლანში" - ქალაქის ახალ ნაწილში ცხოვრობდა და საქმიანობდა. ამ ოქრომჭედელთა ნაწილს ლეკები შეადგენდნენ. 1578 წელს ოსმალების მიერ ახალციხის დაპყრობის შემდეგ აქ ჩრდილოეთ კავკასიიდან ბევრი სამხედრო რაზმი იქნა ჩამოყვანილი (იხ. გ.კ. ტივაძე "ოსმალური დერვიშობა და სოფელთა აჯანყებები XVI საუკუნეში", თბილისი, 1940 წ., გვ.151).

ამ სამხედრო პირებთან ერთად ქალაქ ახალციხის საზღვრებში ძალზე გაწაფული ლეკი ოქრომჭედლებიც დასახლდნენ. ისინი, ისევე, როგორც ადგილობრივი ქართველი ოქრომჭედლები შეკვეთებზე კი არ მუშაობდნენ, არამედ ნაკეთობებს ძირითადად გასაყიდად ამზადებდნენ.

ახალციხელი ოქრომჭედლების მესამე ნაწილი 1828 წელს რუსების მიერ ახალციხის აღების შემდეგ გაჩნდა. 1830-32 წლებში გენერალ პასკევიჩის ინიციატივით არზრუმიდან ახალციხეში ნებაყოფლობით გადმოსახლებულ სომხებს შორის ოქრომჭედლებიც იყვნენ. ეს ოქრომჭედლები ქალაქის გეგმიურ ნაწილში დასახლდნენ და საოქრომჭედლო საქონელს (მათ შორის კიუფესაც) ამზადებდნენ (იხ. "საქართველოს მატერიალური კულტურის შესახებ", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1966 წ., გვ.132).

ასე და ამგვარად, XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს ახალციხე ძველი ქართველების, დაღესტნელებისა და აღმოსავლეთ ანატოლიელების საოქრომჭედლო კულტურას შეერწყა. საოქრომჭედლო ხელოვნების დონე შეუდარებლად ამაღლდა.

ამ დროიდან მოყოლებული, ახალციხელმა ოქრომჭედლებმა ისეთ მარტივ მეთოდებთან ერთად, როგორიცაა "დეიმე" (კვერვა), "ბასმა" (ტვიფრვა), "გარასავად" (მოსევადება), გამოქნადამუშავების ისეთი ხერხების გამოყენება დაიწყეს, როგორიცაა "ხარე" (ბეჭდვა) და "მინასაზლიყ" (მომინანქრება).

ჯიღ-ჯიღა

სიტყვა "ჯიღ-ჯიღა" მომდინარეობს თურქული სიტყვიდან "ჯიღა". ჯიღა იყო ძვირფასი ქვებით შემკული ფრინველის ფრთის ან მამლის თავის მოყვანილობის ძველი თურქული ოქროს სამკაული. (ი. ჯავახიშვილი "ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", თბილისი, გვ.143).

"ჯიღ-ჯიღა" ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული და ძვირფასი თვლებით შემკული ქალის ყელსაბამის ნაირსახეობაა. ქალის ამგვარი ყელსაბამი არ არის მიღებული საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ქრისტიანები ცხოვრობენ (იხ. ი, ჯავახიშვილი "ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", თბილისი, 1962 წ., გვ. 31, ცხრ. 51, ნახ. 1-8).

აზერბაიჯანში ჯიღ-ჯიღა როგორც სამკაული ცნობილი არ არის. (იხ. მ. ტარლანოვი "აზერბაიჯანის ეროვნული ხელობები". ბაქო, 1960 წ., გვ.26-38).

ჯიღ-ჯიღას მსგავსი რამ არც ქალის სომხურ სამკაულებს შორის არის. (იხ. არაქელ პატრიკი "სომეხი ქალების სამოსი". ალბომი. ერევანი, 1967წ., გვ.66-152)

საქართველოში ჯიღა XVII საუკუნეში
შემოვიდა. ის იყო ძვირფასი ქვებით შემკული
ოქროს ან ვერცხლის სამკაული.

რუსეთში ჯიღა მონღოლების შემოსვლის შემდეგ გაჩნდა, საქართველოში კი - XVII საუკუნეში. (იხ. ი. ჯავახიშვილი "ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", თბილისი, 1962 წ., გვ.143).

ქრისტიანული საქართველოს ქალების გარდა, ჯიღას მამაკაცებიც ატარებდნენ, ძვირფასი სამკაულის სახით, რომელსაც თავსაბურავზე იმაგრებდნენ. ამის შესახებ ი.ჯავახიშვილი წერს: "ერთხელ ქართველთა მეფეს ვახტანგ V სტუმრები ეწვივნენ. მათ შორის, ქალებთან ერთად ზოგიერთ მამაკაცს თავზე ყველანაირად შემკული ჯიღა ეკეთათ." (იხ. ი. ჯავახიშვილი "ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", თბილისი, 1962 წ., გვ. 143).

საკუთარი სიმდიდრის საჩვენებლად ქართველი თავადები თავსაბურავზე ძვირფას ჯიღებს იმაგრებდნენ. ყველაზე მდიდარი თავადები თავზე ერთდროულად ოთხ ჯიღას იკეთებდნენ. ასეთ თავადებს "ოთხჯიღიანებს" უხმობდნენ (იხ. ი.ჯავახიშვილი "ქართველი ხალხის მატერიალური

კულტურის ისტორიისათვის", თბილისი, 1962 წ. გვ. 142).

მაჰმადიანმა მესხებმა, ისარგებლეს რა ქრისტიანი ქართველების ხსენებული სამკაულის სახელით "ჯიღა", მოიგონეს ახალი ძვირფასი სამკაული, სახელდობრ კი, სამკერდე ფარღული. თუმცა იმ ჯიღას, რომელსაც XVII საუკუნეში თავზე იკეთებდნენ, და ქალის მკერდის ყელსაბამს შორის არავითარი მსგავსება არ ყოფილა.

სიტყვის "ჯიღა" შეცვლა სიტყვათშეწყობით "ჯიღ-ჯიღა", ჩვენთვის შედარებით ბუნდოვანია.

მესხი ქალების სამკაულებს შორის ჯიღ-ჯიღა საფუძვლიანად XIX საუკუნეში დამკვიდრდა.

თანამედროვე იაფი ქარხნული ქალის სამკაულების მეტოქეობამ საბოლოოდ მაინც ვერ გამოდევნა ჯიღ-ჯიღა ხმარებიდან.

ჯიღ-ჯიღაზე, როგორც სამკაულზე, ადგილობრივ მაჰმადიანთა ეთნიკური ერთიანობის დარღვევამაც კი ვერ იქონია დამანგრეველი ზეგავლენა.

ჯიღ-ჯიღას ახალციხელი ოქრომჭედლები (უფრო ზუსტად ლითონის მსხმელები) ამზადებდნენ. ახალგაზრდა ქალიშვილები ჯიღ-ჯიღას არ ატარებდნენ, ის მხოლოდ გათხოვილი ქალებისთვის იყო განკუთვნილი. უფრო მეტიც, თუ ამ ძვირფას სამკაულს ნიშნობისას მიართმევდნენ, ასეთ შემთხვევაშიც ის ძალზე იშვიათად გამოიყენებოდა.

ჯიღ-ჯიღა, როგორც ნიშანი ახალგაზრდა საპატარძლოსთვის შეიძლებოდა ეყიდათ, როგორც ნიშნობის, ისე ქორწილის შემდეგაც. ის ძალიან ძვირი ღირდა და დიდ ხარჯებს მოითხოვდა. მდიდარი ოჯახები ჯიღ-ჯიღას ლითონის ნაწილს ოქროსას უკვეთავდნენ, ცენტრალურს კი - ძვირფასი ქვებისგან. უფრო ღარიბი ოჯახები ლითონის ნაწილს ვერცხლისას უკვეთავდნენ.

საზოგადოდ ჯიღ-ჯიღას დასამზადებლად როგორც ბევრი ძვირფასი მასალა, ისე ოქრომჭედლის დიდი შრომაც იყო საჭირო.

ჯიღ-ჯიღას მქონე ხნიერი ქალები ოჯახური ჩვეულების შესაბამისად თავიანთ რძლებს ჩუქნიდნენ მას, ან თავიანთ ქალიშვილებს მზითევში ატანდნენ.

ქალები ჯიღ-ჯიღას ყოველდღე არ ატარებდნენ. ისინი მას სათუთად ინახავდნენ გამოსაწევ ზარდახშაში - "ჩექმეჯეში". საჭიროების შემთხვევაში - ქორწილებში, დღესასწაულებზე (განსაკუთრებით, "ღიზ-გიალინის" (საპატარძლო ქალიშვილები), რომლებიც მთაში ტარდებოდა), როცა სტუმრად მიდიოდნენ ან სტუმრები სახლში მოდიოდნენ, ქალები სამკაულებს სანუკვარი ზარდახშიდან იღებდნენ და ირთვებოდნენ.

ჯიღ-ჯიღას განსაკუთრებული გემოვნებით ირჩევდნენ. ვთქვათ, ტანსაცმლის ფერი ჯიღ-ჯიღას ფერის შესატყვისი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, თუ ჯიღ-ჯიღა ყვითელი ფერის იყო, კაბა ყვითელი ფერის არ უნდა ყოფილიყო, ფუსტანი (პიჯაკის ნაირსახეობა) უნდა ყოფილიყო ლურჯი, თავშალი - მუქი წითელი ფერის. ქალს, რომელიც ჯიღ-ჯიღას იხურავდა, თმა აუცილებლად ორ ნაწნავად უნდა ჰქონოდა დაწნული, რომლებიც მკერდზე უნდა ჰქონოდა ჩამოშვებული ჯიღ-ჯიღას ორივე მხარეს. ამასთან ყელზე ჯერ ჩვეულებრივი მოკლე ყელსაბამი უნდა ჩამოეკიდათ, მერე კი - გრძელი ჯიღ-ჯიღა.

ჯიღ-ჯიღა ოთხი ნაწილისგან შედგება.ეს ნაწილებია:

1. ორად მოკეცილი ყვითელი ფერის აბრეშუმის ქსოვილი (3 სმ. სიგანის) ჯიღ-ჯიღას ძირს, საფუძველს წარმოადგენს. მის კუთხეებში აკერებდნენ კისერზე ყელსაბამის შესაკრავ თასმებს.

2. ჯიღ-ჯიღას ცენტრალური ნაწილი. ის 3-4 სმ. დიამეტრის მრგვალი ლითონის ფირფიტისგან შედგებოდა და მას რამდენიმე ადგილას ამაგრებდნენ ძირზე. ამ ნაწილს ისეთი ძვირფასი თვლებით ამკობდნენ, როგორიცაა ალმასი, ზურმუხტი,ლალი, მარგალიტი, მარჯანი, თეთრი და შავი ქარვა, ბროლი და ა.შ.

3. ჯიღ-ჯიღას მესამე ნაწილს წარმოადგენს თევზის თავის მსგავსი ელემენტები, რომლებიც ცენტრალური ნაწილის ორივე მხარეს არის განთავსაბული ეს "თევზის თავები" 2,5 სმ. სიგანის მილაკებად დახვეული ვერტიკალურად ჩამოკიდული ლითონის პატარა ფირფიტისაგან შედგება. ამ ფირფიტების შიდა მხარეზე კეთდებოდა ნახვრეტები. ამ ნახვრეტების საშუალებით "თევზის თავებს" ყვითელი ძაფით აკერებდნენ ფუძეს. "თევზის თავების ზედა და ქვედა კუთხეები ისეა ხოლმე მოღუნული, რომ მილაკის ზედაპირთან ისინი ბლაგვ კუთხეს ქმნიან. კუთხიდან მოხრილობამდე დაახლოებით 0,5 სანტიმეტრია. მის ორივე ბოლოში თევზის თავების გამოსახულებია ამოტვიფრული. "თევზის თავის" ქვედა ნაწილზე პატარა ნახვრეტია, რომელზეც რგოლია ჩამოკიდებული. ის იმავე ლითონისა იყო, რომლისგანაც "თევზის თავები" და ცენტრალური ნაწილი კეთდებოდა. ამ რგოლზე ყუნწიან მოჭრილ მონეტებს ჰკიდებდნენ. ის, თუ როგორ მონეტებს დაჰკიდებდნენ, პატრონის შეძლებასა და გემოვნებაზე იყო დამოკიდებული. ჯიღ-ჯიღას ცენტრალური ნაწილის ორივე მხარეზე 20 ამგვარი "თევზის თავი" თავსდებოდა, მთელ სამკაულზე კი 40-დან 50-მდე "თევზის თავი" უნდა ყოფილიყო.

4. ჯიღ-ჯიღაზე ყუნწიანი მოჭრილი მონეტების ჩამოკიდების წესი. ჩვეულებრივ, მოჭრილი მონეტები მესხეთში ძვირფასეულობის სახით

გამოიყენებოდა. მოხერხებული რომ ყოფილიყო მათ პატარა ყუნწებს უკეთებდნენ, ან სულაც ხვრეტდნენ. ამგვარად სახეშეცვლილი მონეტები ფულის დანიშნულებას კარგავდა და მხოლოდ სამკაულებად თუ გამოიყენებოდა. ჯიღ-ჯიღას ცენტრში ყველაზე მსხვილ მონეტას ჰკიდებდნენ, ნაპირებში კი - უფრო წვრილებს. მაგალითად: "ბეშიბირლიყი" (ოსმანური მოჭრილი ფული), "მაჟარი"(ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მოჭრილი მონეტები) მესხეთში ყველაზე პოპულარულ ძვირფასეულობად ითვლებოდა. ჯიღ-ჯიღას ცენტრალურ ნაწილზე ერთ-ერთი ასეთი მონეტა უნდა ყოფილიყო ჩამოკიდებული. ორივე მხარეს კი ისეთ მონეტებს კიდებდნენ, როგორიც იყო: "მაჰმუდიების" რიგიდან - "თურგალები", "ჩიჩექლები", "იაზილები", "სანდიღლები", "რუბიიები", "მეჯიდიიები". გარდა ამისა, რუსეთის, ირანისა და სხვა მოჭრილ მონეტებსაც იყენებდნენ.

მესხეთის მოსახლეობამ მე-16 საუკუნიდან მიიღო მაჰმადიანობა. ახალი სარწმუნოების მიმდევრები რომ გახდნენ, მესხებმა სამოსი გადაიღეს ანატოლიელი თურქებისგან, რომლებიც მესხეთში მაჰმადიანობას ავრცელებდნენ. ამავე დროს მესხებმა თავიანთი ქართველი წინაპრების ტანსაცმლის ფორმაც შეინარჩუნეს. მათ ჩაცმა-დახურვაში ერთმანეთში აირია ძველი ტრადიციული ქართული და ახალი ოსმალური სამოსის ფორმები.

1830-იან წლებში პასკევიჩის ინიციატივით არზრუმიდან მესხეთში 100 ათასამდე სომეხი გადმოასახლეს. მათ, ვინც ქალაქ ახალციხეში დაასახლეს, პროფესია ძირითადად ჰქონდათ. იყვნენ მკერავები, მეწაღეები, დაბაღები, ოქრომჭედლები და ძვირფასეულობის შემფასებლები (ე.წ. "ზერაფები")

ამ ხელოსნებმა ახალციხის გუბერნიის მოსახლეობაში არზრუმის ფორმის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გავრცელება დაიწყეს. ისინი სხვადასხვა სამკაულებს აკეთებდნენ და ახალციხეში ანატოლიური ფორმების გავრცელება იწყეს. მერე და მერე ანატოლიურმა ფორმებმა ძველ ქართულ ფორმებთან შედარებით უპირატესობა მოიპოვეს.

ლეჩაქი

ლეჩაქს მხოლოდ ქალები ატარებენ. ქალიშვილი გათხოვების შემდეგ მთელი სიცოცხლე ლეჩაქდახურული დადის.

ლეჩაქი ორი სახისაა:

1. საყოველდღეო ლეჩაქი, რომელსაც სახლის პირობებში ატარებენ ("მარმაშ ლეჩაქი" - "მარლის ლეჩაქი"). ის უბრალო მარლისა მზადდებოდა.

2. ("ტიულის" ლეჩაქი) - ეს ლეჩაქი "ტიულის" ქსოვილისა იყო.

ლეჩაქი სამკუთხედის მოყვანილობისაა, მისი გვერდები ჩვეულებრივ, 1,5 მეტრია. როცა ლეჩაქს იხურავენ, მისი შუა კუთხე ქალს თმას უკნიდან უფარავს. მეორე კუთხე წინიდან ეშვება მკერდზე. მესამე კუთხე ერთხელ შემოეხვევა კისერზე, ფარავს კისერს, ყელს, კეფას, გადადის თავზე, ფარავს თმას და ბოლოთი დაბლა ეშვება.

მარლის ყოველდღიური ლეჩაქი მოკლეა, გამოსასვლელი ლეჩაქი კი, ჩვეულებრივ, გრძელია ხოლმე. მას "ქუირუხლი ლეჩაქსაც" ("კუდებიან ლეჩაქსაც") უწოდებენ ხოლმე, იმიტომ რომ მისი გრძელი ბოლოები პატარა კუდებივით ეშვება დაბლა.

თავშალი

ოთხკუთხა თავშალს სამკუთხედად კეცავენ და ისე იხურავენ. სიტყვა "თავშალი" ორი სიტყვისაგან შედგება: "თავი" და "შალი". ანუ თავშალი.

თავშალი ან შინნაქსოვია (ადგილობრივი ცხვრის წმინდა მატყლის) ან ფაბრიკაშია დამზადებული. ახალგაზრდა ქალებს უფრო ჩახჩახა ფერის მსუბუქი თავშლები მოსწონთ. ხნიერი ქალები კი შავი ან მუქი ფერის სქელ ქსოვილს ანიჭებენ უპირატესობას.

იაზმა

ქალიშვილებისთვის განკუთვნილი იაზმა მარლის მსუბუქი თავსაბურავია. როგორც წესი, მარლას 1-1,5 მეტრის ზომის ნაჭრებად ჭრიან და სხვადასხვა ფერად ღებავენ. მას ქალიშვილები ატარებენ.

ფოში

აბრეშუმის დიდ თავშალს ახალციხის, ადიგენის და ასპინძის რაიონებში "ფოშს" ეძახიან. ჩვეულებრივ, ფოშს გასათხოვარი ქალიშვილები და ახალგაზრდა გათხოვილი ქალები ატარებენ. ადგილობრივი მოსახლეობა ფოშს ვერ ამზადებს. თუმცა კი აქ თუთის ხეები არის, მაგრამ რეგიონში მეაბრეშუმეობა არ განვითარებულა. ქალიშვილები და ქალები, რომლებსაც ფოშის ტარების სურვილი ჰქონდათ, სპეციალურად უნდა ჩასულიყვნენ ახალციხეში და იქ სომეხი ან ებრაელი ვაჭრებისგან ეყიდათ ფოში. ამ უკანასკნელთ კი ფოშები განჯიდან ან შექიდან ჩამოჰქონდათ. შექური

ფოშები განსაკუთრებით ნიშნობისას იყო მიღებული.

ეჰრამი

ეჰრამი ჩადრის ნაირსახეობაა. მისი ტარება მაჰმადიანური ტრადიციების ერთ-ერთი ნიშანთაგანია. ეჰრამს ცხვრის წმინდა მატყლის მსხვილადნაქსოვი შალისას კერავდნენ, მისი სიგანე დაახლოებით 1,5 მ., სიგრძე კი 4 მ. იყო.

ეჰრამში ჩაცმული მესხი ქალი

ეჰრამმოსილი ქალი უცხო თვალისთვის თავით ფეხებამდე უხილავი და მიუწვდომელი ხდება და ამრიგად მაჰმადიანურ ტრადიციასაც იცავს.

ეჰრამს ძირითადად არზრუმიდან გადმოსახლებული სომხები ამზადებდნენ, თუმცა ამ საქმეს სოფელ აწყურის რამდენიმე მაჰმადიანური ოჯახიც მისდევდა.სიტყვა "ეჰრამი" თურქულად "პირამიდას" ნიშნავს. შესაძლოა, მას ასე იმიტომ უწოდეს, რომ ეჰრამმობურული ქალები ეგვიპტურ პირამიდებს ემსგავსებოდნენ.

ფუსტანი

ფუსტანი ორმაგი იკერება - კარგი პირის ნაწილით და სარჩულით (ზოგჯერ უსარჩულო).

ფუსტანის პირის ნაწილი პატრონის სიმდიდრის შესატყვისი ძვირფასი ქსოვილისა იკერება. ფუსტანის წინა ნაწილისთვის საუკეთესოდ ხავერდი ითვლება. ახალგაზრდა ქალიშვილებს წითელი ხავერდი უყვართ, ასაკოვანი ქალები კი შავს ამჯობინებენ. ფუსტანის სიგრძე ზურგიდან წელამდეა. ფუსტანის საყელო მაღალი არ არის. ის სადაფის ღილებით იკვრება. ფუსტანის მკერდს სხვადასხვა ფერის მძივებით ამშვენებენ.

ყოველ სოფელში თავისი მკერავები ჰყავდათ, ჩვეულებრივ,ხანდაზმული ქალები. გარდა იმისა, რომ თანასოფლელებს ტანსაცმელს უკერავდნენ, ისინი საკუთარ შვილებსაც და შვილიშვილებსაც ასწავლიდნენ კერვას.

იელექი (ჟილეტი)

თარგით, ქსოვილის ფაქტურით და ფერით შეიძლება ითქვას, რომ იელექი ფუსტანია. თუმცა იელექს სახელოები არა აქვს. იელექს სახლში და სამუშაოზე ატარებენ, ფუსტანს კი იშვიათად იცვამენ - დღესასწაულებზე, ქორწილებში, სტუმრობისას. ხანდაზმული და მოხუცი ქალები ძირითადად შავი ქსოვილისგან შეკერილ იელექს ატარებდნენ. ახალგაზრდები ჩახჩახა ფერის ქსოვილს, განსაკუთრებით წითელ ხავერდს ანიჭებენ უპირატესობას.

ქიომლექი

ქიომლექი ქალის ქვედა პერანგია. ზედა სამოსისგან განსხვავებით ის ასაკის კატეგორიების მიხედვით არ განიყოფა. ქიომლექი თეთრი ქსოვილისაგან იკერება მისი გამოჭრა-შეკერვაც ძალზე მარტივია. ის გრძელი იკერება ყელიდან მუხლებამდე, სახელოებით, ყელით და ძალზე თავისუფალი.

წინა მხარეს ქიომლექს ცოტაზე ჩაჭრიან, ჩასაცმელად ადვილი რომ იყოს - 2-3 პატარა ღილითა.

ზუბუნი

ზუბუნი სიცივისაგან თავდასაცავი სამოსელია. მას ძირითადად მთების ძირას და ტყეების სიახლოვეს მცხოვრები სოფლის მოსახლეობა ატა-

რებს. ზუბუნს ზომების შესაბამისად უკერავენ როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს. როგორც წესი, ის შავი და მუქი ფერების სქელი ქსოვილისგან იკერება. ისევე, როგორც ქიომლექი, ზუბუნიც სახელოებიანი და საყელოიანი იკერება. საყელო ზევიდან ქვემომდე ჩახსნილია და ღილებით იკვრება. ასაკოვანი და მოხუცი ქალებისთვის დამატებითი სითბოსთვის ორფა ზუბუნს კერავენ.

ხირხა

ხირხა ისევე გამოიჭრება და იკერება, როგორც ზუბუნი. შეიძლება ითქვას, რომ ხირხა ზუბუნის ნაირსახეობაა. მასაც სიცივისაგან თავდასაცავად იცვამენ. ხირხასა და ზუბუნს შორის განსხვავება ის არის, რომ ხირხა გრძელია - დაახლოებით ნახევარპალტოსავით. კერვისას ხირხას ზევიდან ქვევით პარალელური გვირისტით ალიანდაგებენ. ისიც ღილებით იკვრება. მოხუცები და უფროსი რძლები ხირხას ყველა ტანსაცმელზე იცვამენ.

ყურშაჰი

ყურშაჰს ხანდაზმული და მოხუცი ქალები იმიტომ ხმარობენ, რომ წელი სითბოში ჰქონდეთ. ყურშაჰი დაახლოებით 1 მეტრი სიგრძის და 0,5 მეტრის სიგანის მართკუთხედისგან შედგება. ყურშაჰს ხელის დაზგაზე წითელი და მწვანე ფერის შალის ძაფებით ქსოვენ. რადგან ის გასათბობად არის განკუთვნილი, მას საკმაოდ სქელს ქსოვენ. ყურშაჰიც სამკაულად ითვლება.

მას სამკუთხედად კეცავენ, ხირხაზე ჩამოიცვამენ და ორჯერ შემოიხვევენ, ბოლოები და ცენტრი კი უკან რჩება.

ახლა ყურშაჰი მოდაში აღარ არის. მთების ძირში და ტყეთა სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა იშვიათად თუ ატარებს ყურშაჰს.

ხიფთანი

ხიფთანი ("კაბა") ყველა ქალის სამოსია განურჩევლად ასაკისა. მას სიგრძეზე ჭრიან და კერავენ. ქალიშვილების ხიფთანი, ჩვეულებრივ, ღაჟღაჟა ფერის, ჭრელია ხოლმე. ქალებისა კი უფრო მკაცრი გამის, უფრო მოკრძალებული ფერებისა. მოხუცებულები კი უპირატესად შავი ქსოვილების ხიფთანებს იკერავენ. ხიფთანები ძალზე განიერები იკერება - კალთა 4-6 მეტრამდეა ხოლმე. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქალების 3-4 კაბის შესაკერად საჭირო ქსოვილი ერთი კაბის შესაკერად გამოიყენებოდა. ხიფთანის ბოლოს, კალთის ზემოთ, ერთი მტკაველის სიგანეზე ამავე ქსოვილის ფურჩალას ("აბურკას") აკერებდნენ. ხიფთანის ზედაწელი ყელიდან წელამდე იხსნება. ხიფთანის გულს ვერცხლის ან სადაფის ღილებით ამკობენ.

ეთექლუხი (საკალთე)

ეთექლუხი ყველაზე გავრცელებული ქალის კაბაა. როგორც თავად სიტყვიდან გამომდინარეობს, ეს არის კალთა, ანუ სამოსი, რომელსაც წელს ქვევით იცვამენ. ეთექლუხის ფერი და ნაოჭების რაოდენობა ქალის ასაკზეა დამოკიდებული. ახალგაზრდა ქალიშვილების ეთექლუხი უმეტეს შემთხვევაში ჭრელი და სახიანია ხოლმე, სიგანე კი - პატარა. ერთი ქალიშვილის ეთექლუხისთვის 2-4 მ. ქსოვილიც კმარა. ქალებისა და ხანშიშესულებისთვის კი 4-5 მ. ქსოვილია საჭირო.

ეთექლუხის ქამარს ნაოჭებთან ერთად ორად მოკეცილი ამავე ქსოვილის სარტყელს აკერებენ. ხანდაზმულებს არც ხიფთანზე უყვართ ფურჩალების დაკერება და არც ეთექლუხზე. ახალგაზრდა ქალიშვილები კი ფურჩალების 2-3 რიგს ამატებენ (მათ ერთი მტკაველის სიგანეზე აკერებენ ხიფთანის ან ეთექლუხის ქვედა კალთაზე).

ფეშტამალი

სახლში, სხვადასხვა საშინაო საქმეების კეთებისას ქალები, ჩვეულებრივ, ფეშტამალს (წინსაფარს) იკეთებენ. ფეშტამალს წინიდან, წელს ქვემოთ იკეთებენ. ფეშტამალის ზედა ნაწილს მრავალრიცხოვანი ნაკეცებით ამავე ქსოვილის სარტყელს აკერებენ. ფეშტამალი ან შავია ხოლმე, ან მუქი ნაცრისფერი. ფეშტამალის ქვედა ნაწილი ძალიან განიერია. ქალიშვილებს უფრო ფერადი და ნაოჭებიანი ფეშტამალები მოსწონთ.

თუმან-დიზლიყ

ახალციხურ კილოკავზე ქალის ქვედა საცვლებს თუმანი ჰქვია. თუმანი ორგვარია: ქალიშვილებისა და ქალების. ქალიშვილის თუმანი ქალის თუმანთან შედარებით უფრო ვიწრო, ცალფა და მსუბუქია ხოლმე. ქალის თუმანი ორფა ქსოვილისა იკერება. გარდა ამისა, ქალის თუმანის როგორც სარტყელი, ისე ტოტები ძალზე განიერები გამოიჭრება, ამიტომაც თუმან-დიზლიყზე ბევრი ქსოვილი იხარჯება. დიზლიყის ქსოვილი ორი

სახისაა ხოლმე: მუხლებამდე - თეთრი ნარმა, მუხლიდან კოჭებამდე, როგორც წესი, თეთრი ან წითელია ხოლმე, ან ცისფერი. დიზლიყის სარტყელს "ოხჩურს" უწოდებენ, ოხჩურს შალის კანაფივით ახვევენ. სარტყლის ქსოვილს ოხჩურის სიგანეზე ახვევენ და ასე ჩააკერებენ. ქამარში ოხჩურს უყრიან და ამით მიამაგრებენ დიზლიყს. ვინაიდან დიზლიყის ტოტები ძალიან განიერია ხოლმე,ოხჩურები ტოტების ქვედა ნაწილშიც არის საჭირო. თეთრი შალის წინდები, რომლებსაც ქალიშვილები ან ქალები შინ თავისთვის იქსოვენ, მეტისმეტად გრძელი არ არის ხოლმე, ვინაიდან წინდების ბოლოებს დიზლიყის ტოტებში ჩაიტანენ.

კონდურა (ფეხსაცმელი)

ახალციხის მხარეში ქალის ფეხსაცმელს კონდურას ეძახიან. ევროპული ფეხსაცმელისგან კონდურას ის განასხვავებს, რომ ამ ფეხსაცმლის ძირი უხეშად გამოქნილი ტყავისა მზადდება, ზედა ნაწილი კი - თხის ან ხბოს ტყავისა. კონდურას 3-4 სმ. სიმაღლის ქუსლები ჰქონდა, ქუსლებს კი ძირ-ზე ლითონის ქუსლსაკრავს აკრავდნენ. კონდურას ფუტკრის ცვილით გასანთლული ბამბის ძაფით კერავდნენ.

სოფელ ვალეს მცხოვრები 70 წლის ალადინ ომაროვი ამბობდა: "...განსვენებული მამაჩემისგან გამიგონია, რომ ჩვენს ხეობაში (ასე ერქვა მდინარეების მტკვრის, ფოცხოვის და ქვაბლიანის დაბლობებს) ქალების ფეხსაცმელი წინდები და ჩარუხი იყო. "პოტ-მესლერები" (ტყავის ყელიანი ფეხსაცმელი) მხოლოდ მდიდარი ოჯახის ქალებს ეცვათ ხოლმე. მას შემდეგ, რაც ახალციხეში სომხები ჩამოიყვანეს, ახალციხელი ქალებისათვის ამ ოსტატების ხელით კონდურას და ეჭრამის დამზადება დაიწყო, რომლებიც მოდაში შემოვიდა და ჩეულებად იქცა."

ჩორაბები (წინდები)

ქალის ჩორაბები მამაკაცების ჩორაბებისგან თავისი ნაქსოვით, ნახჭებითა და ზომებით განსხვავდება. ქალის ჩორაბები წმინდა მატყლითა და წმინდა ძაფით იქსოვება. მამაკაცები ჩორაბების ყელში შარვლის ტოტების ბოლოებს ჩაიტანენ, წმინდა ძაფს რამდენჯერმე შემოახვევენ ჩორაბის ყელს და შემოუჭერენ. ქალები კი თავიანთი ჩორაბების ყელში თუმანების გრძელ ტოტებს ჩაიტანენ. ჩორაბის ქსოვას რომ ამთავრებენ, ძაფის ბოლოს კი არ წყვეტენ, არამედ მას იმავე ფერის ძაფს ჩააწნავენ და "ჩორაბის ძაფს" გრეხენ. ჩორაბები შავი, თეთრი და ფერადი ძაფებით იქსოვება. მესხური ჩორაბები, ქურთებისა და თარაქამების წინდებთან შედარებით უფრო იშვიათად იქსოვება. ჩორაბის ქსოვას თითების მხრიდან იწყებენ. როგორც წესი, ნახჭი ქუსლზე ზევით იქსოვებოდა. ყველაზე გავრცელებული შემდეგი ნახჭები იყო: 1. მარტივი ჩორაბები. 2. ერთმაგი ნახჭით - "ბოილამ-ბურმით" ("ზეაღმავალი-გრეხილი") წინდის ყელზე. 3. ნახჭით "რეზინი". 4. ნახჭი "გაბარდი" (გამობურცული). 5. სხვადასხვაგვარი ყვავილების გამოსახულებები.

ჩორაბებს ქალები შინ ქსოვენ. ბებიები და დედები თავს იწონებენ მათი ქალიშვილების ჩორაბების ქსოვის უნარით. ჩორაბებს წინდის ჩხირებით ქსოვენ, რომლებიც ერთი მტკაველის სიგრძის (დაახლოებით 20 სმ.)ფოლადის მავთულის ხუთ წკირს წარმოადგენს. ქართულად მათ წინდის ჩხირებს ეძახიან.

ამარატი

(ოქროს და ვერცხლის ძვირფასეულობა)

მესხი ქალები ოქროს და ვერცხლის სამკაულებით ძირითადად კათხას რთავენ, იმკობენ მკერდს, ყურებს, მაჯებს და თითებს. კათხის წინაპირზე "მაჰმუდიას", "რუბიას", "მეჯიდიას", "ფიფანორებს" (ეს ყველა მოჭრილი ოსმალური მონეტების ნაირსახეობებია) აკერებენ. ყურებში გაყრილი საყურეები სოციალური მდგომარეობის მიხედვით, შეიძლება ოქროსი და ვერცხლის იყოს. საყურეები სხვადასხვა სახისაა: ნახევარმ-თვარის, ბალის, ყურძნის და სხვა მოყვანილობის.

მკერდის სამშვენისი - "ჯიღ-ჯიღა" ძირითადად ყელზე ჩამოსაკიდებლად არის განკუთვნილი. ჯიღ-ჯიღას შუაში დიდი ოქროს მონეტა "ბეშიბირლიყია" მოთავსებული. ბეშიბირლიყის აქეთ-იქით "მაჟარიალარებია" (უნგრული ოქროს მონეტა,ეგრეთ წოდებული "იმპერიალი"), მაჟარიალარების შემდეგ მარცხენა და მარჯვენა მხარეს ჰკიდებენ "მაჰმუდიებს". თავად "ჯიღ-ჯიღა" ან ოქროსი მზადდება, ან ვერცხლის.

სხვადასხვა სახის სამაჯურებიც და ბეჭდებიც ოქროსი ან ვერცხლისაა. სარტყელ-ქამრები ძირითადად ორი სახისა მზადდება: "ჯამუშ გიოზი" ("კამეჩის თვალი") და "ტახტა" ("ფირფიტა"). ორივე ვერცხლისგან მზადდება. ჯამუშ გიოზი შედარებით განიერი და უფრო მძიმე ფორმისაა. ყოველდღიური მუშაობისას ამდენი ლითონის ტარება შეუძლებელია. ამ ძვირფას ნივთებს მხოლოდ სამკაულების სახით მაშინ იკეთებენ, თუ ქორწილში ან სტუმრად მიდიან. თუმცა ფერად-

ვერცხლის ქამარი «ჯამუშ გიოზი» («კამეჩის თვალი»)

ფერად მძივებს კისერსა და მაჯებზე ქალები ყოველდღე ატარებენ.

მესხი ქალები არ ატარებენ არც ტყავის ქამრებს და არც ბამბის ძაფით მოქსოვილებს. მათში ძვირფასი ლითონების - ოქროსა და ვერცხლის ტარება იყო მიღებული.

მესხეთში ყველაზე გავრცელებული შემდეგი სახის ქამრები იყო:

1. "ჯამუშ გიოზი" ("კამეჩის თვალი")
2. "არფალი" ("ქერისა")
3. "ტახტალი" ("ფირფიტები")
4. ლეკური
5. შექური
6. ყუბაჩური და სხვა.

"ჯამუშ გიოზი" ვერცხლისა მზადდებოდა. მის დასამზადებლად დიდი შრომა იყო საჭირო. ამგვარ სარტყელს ოქრომჭედლები "დეიმეს" (კვერვის ერთ-ერთი ყველაზე ძველი საოქრომჭედლო მეთოდია) და "ჰარიას" მეთოდებით ამზადებენ, რომლებიც სხვა მეთოდებთან შედარებით საკმაოდ მარტივია. თუმცა თავისი სიმარტივის მიუხედავად, კვერვა ხელოსნისაგან მახვილ თვალს და დიდ ოსტატობას მოითხოვს. ოქრომჭედელი ამ შემთხვევაში პატარა ჩაქუჩით და წამახული იარაღით მუშაობს.

"ჰარიას" საოქრომჭედლო საქმეში ხვეული მავთულით შესრულებულ ნახატს ან ნახჭს უწოდებენ. "ჰარია" ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი ოქროს ან ვერცხლის გრეხილი მავთულებისგან (ძაფებისგან) შედგება, მეორე ნაწილი ზედაპირს ნახჭით ამკობს.

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნეში ახალციხეში ძველი მესხეთის, დაღესტნის და აღმოსავლეთ ანატოლიის ოქრომჭედლობის მეთოდების მიღწევებმა მოიყარა თავი.

ნიშანდობლივია, რომ ლითონისგან დამზადებულ სარტყელებს არც ქრისტიანი მესხი ქალები ატარებდნენ, და არც დანარჩენი საქართველოს ქალები. იმ მესხი ახალგაზრდის ოჯახს, რომელიც ცოლის შერთვას აპირებდა, აუცილებლად უნდა შეეძინა ვერცხლის ან ოქროს სარტყელი, რომელიც ნიშნობის დროს უნდა მიერთმიათ პატარძლისათვის.

"ჯამუშ გიოზის" სარტყელის თითოეული რგოლის შუა ნაწილი კვერცხის მოყვანილობის ამობურცულობის სახით სრულდებოდა. მისი ზედაპირი ჩუქურთმით დამშვენებული და მოსევადებული იყო. ასე იყო დამშვენებული იგი ირგვლივაც. როგორც ჩანს, სახელწოდება "კამეჩის თვალი" სწორედ იმიტომ იშვა, რომ ეს ამობურცულობები კამეჩის თვალს ჰგავდა.

სარტყელი 16-18 რგოლისგან შედგებოდა, რომლებიც ერთმანეთთან ლითონის სახსრებით იყო დაკავშირებული. სიმტკიცისათვის მის შიდაპირზე ქრომის ან შევროს ტყავის წვრილ ზოლს აბამდნენ, სარტყელის მარჯვენა ბოლოზე მაგრდებოდა დუგმები, რომლებსაც მარცხენა ბოლოს ღილკილოებში აგებდნენ და ამრიგად კეტავდნენ სარტყელს.

XIX საუკუნეში ვერცხლის ქამრები ძალიან იყო მოდაში.შემთხვევით როდი მოიხსენიებოდა ისინი ფოლკლორში. მაგრამ, შემდგომში, ფაბრიკის იაფი კაბების გამოჩენასთან დაკავშირებით კუსტარული ხელობები გამოიდევნა და აღარც ძვირფას ვერცხლის სარტყელზე იყო მოთხოვნილება.

ლატიფშაჰ ბარათაშვილი.

მაჰმადიან მესხების ზოგიერთ რწმენათა შესახებ

სხვადასხვა ხალხთა სარწმუნოებებს შორის ბევრი განსხვავება არსებობს. თუმცა

როგორც უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან ვთქვათ, იუდეველთა სარწმუნოება ქრისტიანთა სარწმუნოებისგან, ხოლო ბუდისტებისა - მაჰმადიანთა სარწმუნოებისაგან, ადამიანთა სარწმუნოებებს სხვადასხვა რელიგიურ სისტემებში, საბოლოო ჯამში ბევრი რამ აქვს საერთო.

ნებისმიერი ხალხის ან ტომის, კერძოდ კი მაჰმადიანი მესხების რელიგიურობის შესწავლისას ერთ-ერთ მთავარ საკითხს ამ რელიგიურობის, მისი სათავეების წარმომავლობის საკითხი წარმოადგენს. მესხთა რელიგიურობა, როგორც საზოგადო მოვლენა, მათი ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე იშვა. თავის დროზე მისი გაჩენა საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებმა განსაზღვრა.

ბევრს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ ვინ არიან მაჰმადიანი მესხები და როგორ ყალიბდებოდა მათი დღევანდელი რელიგიურობა. ამ ტომის ეთნოგრაფია და, განსაკუთრებით, რელიგიურობა, სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის გაშუქებული და თითქმის შეუსწავლელია.

უძველესი დროიდან მოყოლებული, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ნიშნების საფუძველზე საქართველოში გარკვეული ისტორიული პროვინციები ჩამოყალიბდა. მესხები საქართველოს სამხრეთ პროვინციის მოსახლეობას წარმოადგენენ.

IV-დან XVI საუკუნემდე მესხები, ისევე, როგორც სხვა ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. შემდგომი სამი საუკუნე პროვინცია ოსმალური იმპერიის მმართველობას ექვემდებარებოდა და მხოლოდ 1829 წელს მესხეთის ჩრდილო ნაწილი კვლავ შეუერთდა საქართველოს. მესხთა მცირე რაოდენობა, რომელმაც გაქცევით უშველა თავს, ჩრდილოურ ქართულ პროვინციებში დასახლდა და ამ ადამიანებმა საკუთარი რელიგიაც შეინარჩუნეს. გლეხთა ათასამდე ოჯახმა კათოლიკობა მიიღო, უმრავლესობა კი ისლამს ეზიარა. ამ საუკუნეთა განმავლობაში მესხების ცხოვრების წესმა, ყოფამ და რწმენამ გარკვეული ცვლილებები განიცადა და დღეს მაჰმადიანი მესხები მესხთა ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენენ. ისინი ერთად აღებული მესხების დანარჩენ კატეგორიებზე უფრო მეტნი არიან. 1944 წლის დეპორტაციის პერიოდში მათი შინაური ყოფა, ტრადიციები და რწმენა ნაკლებად შეიცვალა.

თუმცა ისლამმა უწინდელი რწმენა და ტრადიციები მთლიანად ვერ გამოდევნა.

მაჰმადიანობამდელი კულტების გადმონაშთები აღინიშნება ყველგან, სადაც კი ისლამი დამკვიდრდა. მესხებში კი არა მხოლოდ ისლამამდელი, არამედ ქრისტიანობამდელი წარმომავლობის რელიგიური რწმენებიც შენარჩუნდა.

განვიხილოთ მაჰმადიანი მესხების (შემდგომში "მესხების", მ. უ.) რწმენათა მხოლოდ ზოგიერთი ელემენტი.

განსაკუთრებულ ყურადღებას ავი სულების განმდევნი, ადამიანის დამცველი და განმკურნებელი ავგაროზები და მაგიური ქმედებები, აგრეთვე მესხებში როგორც ახლო წარსულში, ისე დღესაც გავრცელებული სამკურნალო მაგია იმსახურებს.

მესხთა მაჰმადიანობამდელ რწმენათა გადმონაშთები

მათ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიპყრეს მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღება. ეს ცალკეული ადგილების, მთებისა და მიჯნების მფარველი სულების თაყვანისცემაა. ის დღემდე ახასიათებს მესხების რწმენას, ამასთან პატრონი-სული შეიძლება ადამიანის სახითაც იყოს წარმოდგენილი, ცხოველის სახითაც,მითიური არსების სახითაც და გარკვეული სახის უქონელადაც.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია მშობიარისა და ჩვილის დაცვის რელიგიურ-მაგიური ხერხები. რიგ შემთხვევებში ძველი წეს-ჩვეულებები იმის გაუცნობიერებლად აღესრულება, თუ სახელდობრ რომელმა სულება ავნეს, ან შეიძლება, რომ ავნონ ადამიანს.

სულებისგან დაცვის ბევრი მარტივი ხერხი ყოველი ადამიანისთვის ხელმისაწვდომია. თუმცა, ყველგან არსებობენ სპეციალისტებიც, რომლებსაც სულების იმ შემთხვევებში განდევნის უნარს მიაწერენ, როდესაც დაცვის ჩვეულებრივი საშუალებები არ შველოდა და ადამიანი ავადდე-

ბოდა. ამგვარი ჯადოქრები და ექიმბაშები, რომელთაც თითქოსდა სულების განდევნა და მაშასადამე, ადამიანის განკურნება ძალუძთ, მესხებს დღესაც ჰყავთ.

ბოლო წლებში შეგროვებული მასალები მეტყველებს მესხებში სხვადასხვაგვარი ავგაროზების, მაგიური საშუალებების ცხოველუნარიანობაზე, რომლებშიც ადამიანები რეალური ან წარმოსახვითი უბედურებისაგან თავდაცვის, ოჯახურ ცხოვრებაში სამეურნეო საქმიანობაში წარმატების მიღწევის საშუალებას ხედავენ. მესხებში მაგიის გამოყენების შემთხვევები საკმაოდ მრავალფეროვანია. ასე მაგალითად, ჩვილის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დამცველი მაგიური მითითებები და აკრძალვები ჯერაც არ ჩაბარებია წარსულს, თუმცა დღემდე უმთავრესად მხოლოდ ხნიერი ქალების ზეგავლენის წყალობით არსებობს. მათ გათვალვისაც სჯერათ. სხვადასხვაგვარმა ავგაროზებმა, რომლებსაც ცალკეულ ოჯახებში მიმართავენ, მარტო სულებისაგან კი არა, გათვალვისგანაც უნდა დაიცვან ადამიანი (უფრო ხშირად ბავშვი). ყოფიერებაში კვლავაც ცოცხლობს ისეთ მაგიურ ქმედებათა კომპლექსი, რომელიც სასიძოს, განსაკუთრებით კი საპატარძლოს რომელიმე ავისმოსურნის მხრიდან შესაძლო "გათვალვისგან" დასაცავად არის გამიზნული. ახალგაზრდების ცხოვრებაში განსაკუთრებით საშიშ მომენტად ძველთაგან დაქორწინების ცერემონია წარმოადგენს, რომლის დროსაც თითქოსდა ჯადოქრობით შესაძლებელია ახალგაზრდებს შთამომავლობის ყოლის საშუალება მოესპოთ. ეს ცრურწმენა აშფოთებს სიძე-პატარძლის უფროსი ასაკის ნათესავებს და ახალგაზრდა წყვილის დამღუპველი შედეგებისგან დასაცავად ისინი რიგ ტრადიციულ მაგიურ დანიშნულებებს იცავენ.

პატრონი-სულები და მათგან თავდაცვის საშუალებები

მესხეთის მოსახლეობას და პირველ რიგში მაჰმადიანებს, ძველთაგანვე სწამდათ, რომ შეიძლება ადამიანი დაავადდეს როგორც გათვალვის შედეგად, ისე მასზე ბოროტი პატრონი-სულების ზემოქმედების გამო. მესხების რწმენით, ბოროტი სულები სასაფლაოებს ან ხევებსა და ხეობებში გამავალ გზებზე, ძველ ნანგრევებში, დაცარიელებულ, მიტოვებულ ნაგებობებში ბინადრობენ. თითოეულ სოფელში დადგენილია საკუთარი, მხოლოდ ამ სოფლის კუთვნილი ამგვარი ადგილები. არსებობს რწმენა, თითქოს დაავადებების გამომწვევი ბოროტი სული-პატრონები მხოლოდ ღამის წყვდიადში ჩნდებიან. ამგვარი ცრურწმენითი გადმოცემის აღწერაა მაგალითად, მესხების ხალხური ზეპირსიტყვიერების მაგალითში - ლეგენდაში ალისულთანის შესახებ, რომელიც XIX საუკუნის მიწურულს - XX საუკუნის დამდეგს განეკუთვნება.

ავი სულების ქმედებების ყველაზე მეტად მცირეწლოვან ბავშვებს და ძუძუთა ჩვილების დედებს ეშინიათ. თითქოსდა პატრონი-სულების მიერ გამოწვეულ დაავადებებს განეკუთვნება, პირველ რიგში, სლოკინი და ადამიანის შეგრძნებებისა და ქცევის სხვა ანომალიები, რომლებიც ძლიერი შიშის შედეგს წარმოადგენს. ამბობენ, რომ ავი სულები ხანდაზმულებსა და მოხუცებს არ ერჩიან და ეს რთული ასახსნელი არ უნდა იყოს. მოხუცები და ხანდაზმული ადამიანები მათი ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით ისე არ ეძლევიან შიშს, როგორც ბავშვები მათი მდიდარი ფანტაზიითა და მგრძნობიარობით.

ავი სულების გარდა, მესხებში ძალზე საშიშად ითვლებიან ავი თვალის მქონე

ადამიანები. ამ რწმენის მრავალ მაგალითს ყველგან შეხვდებით მესხებში. ავი თვალის მქონე ადამიანებს, როგორც წესი, დიდი ლურჯი თვალები და შავი ან წითური თმა აქვთ. საგანი, რომელსაც ეს ადამიანი შეხედავს, გაფუჭდება, ხოლო თუ მისი მზერის ობიექტი ადამიანი ან ცხოველია, ის ავად გახდება.

აღნიშნულ დაავადებებს, მკურნალობის თანამედროვე საშუალებების გარდა, სხვა, ძველი არასამედიცინო, რელიგიური საშუალებებითა და ხერხებითაც "მკურნალობენ". უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალება არაეფექტური აღმოჩნდება, ავადმყოფი მიჰყავთ "სპეციალისტთან", რომელსაც შეუძლია ჯადო მოხსნას ადამიანს ან ავი სული მოაშოროს მას. ასეთ სპეციალისტს მესხები "ჯინდარს" (სიტყვებიდან "ჯინ" და "დარ") ანუ ისეთ ადამიანს ეძახიან, რომელიც ჯინებზე - სულებზე ბატონობს.

არსებობს მკურნალობის ისეთი საშუალებაც, როგორიცაა კისერზე სხვადასხვანაირი მძივების, ყელსაბამების და სხვ. ჩამოკიდება. სამკურნალო მძივებს შორის ყველაზე ფასეულად ყვითელი ქარვის მძივები ითვლება.

განვიხილოთ იმ ავგაროზების ზოგიერთი სახეობები, რომლებსაც მესხები ავი სულებისგან, გათვალვისა და სხვ. თავდასაცავად იყენებენ.

კრიალოსანი

მესხებში ყველაზე ფასეულად ითვლება ქარვისგან დამზადებული ავგაროზები, რომლებიც ავ სულებს აფრთხობენ. მესხეთში ამგვარი მძივები მხოლოდ შეძლებულ ოჯახებს ან სასულიერო პირებს ჰქონდათ. მძივების გარდა, ქარვისას კრიალოსნებსაც აკეთებენ. კრიალოსანი ორგვარი სახისაა.

ჩვეულებრივი კრიალოსანი - მას ასაკოვანი მამაკაცებისათვის ამზადებენ. ის ქარვის მსხვილი მძივის მარცვლებისგან შედგება, რომელთა რაოდენობა შეიძლება 10-დან 20 ცალამდე მერყეობდეს. თითოეული მარცვალი მოყვანილობითა და ზომით 1,5 - 2 სმ. სიგრძის მსხვილ შინდის ნაყოფს ჰგავს. ამგვარი კრიალოსანი ძირითადად უბრალოდ თავშესაქცევად არის განკუთვნილი.

სალოცავი კრიალოსანი - დაახლოებით 1 სმ. დიამეტრის მძივის მარცვლები მრგვალი მოყვანილობისაა. ეს კრიალოსანი სამ ნაწილად იყოფა, მათგან თითოეული 33 მარცვლისგან შედგება. ასე რომ, ამ კრიალოსანში სულ 99 მძივის მარცვალია. მას შემდეგ, რაც ლოცვა პრაქტიკულად მთავრდება, მორწმუნენი ერთსა და იმავე ლოცვას მრავალგზის იმეორებენ. ამ განმეორებებს კრიალოსნის საშუალებით ითვლიან. მოხუცი ქალები ირწმუნებიან, რომ ლოცვისთვის განკუთვნილი ქარვის მძივი სიყვითლის საწინააღმდეგო უებარი საშუალებაა. ეს კი იმით აიხსნება, რომ ამ კრიალოსანით ბევრი ლოცვაა დათვლი-ლი. მრავალგზისი ლოცვით ნაკურთხი კრიალო-სნით შეშინებული სიყვითლე ტოვებს ადამიანის სხეულს. თუ სიყვითლით დაავადებულ ადამიანს ერთი თვის განმავლობაში ეკეთება კისერზე ასეთი კრიალოსანი, ის განიკურნება.

ძველად ქარვის კრიალოსანი იშვიათობა იყო. ამიტომაც ბევრი ავადმყოფი იძულებული იყო თავის რიგს დალოდებოდა და როცა რიგი მოუწევდა, ეტარებინა იგი და განკურნებულიყო. კრიალოსნის პატრონი სამადლობელოდ საჩუქარს (ფულს, პროდუქტებს) იღებდა. თუ რომელიმე სოფელში საერთოდ არ ჰქონდათ.

ლოცვისთვის განკუთვნილი ქარვის კრიალოსანი, სიყვითლის საწინააღმდეგოდ ჩვეულებრივ ქარვის კრიალოსანს ხმარობდნენ.

შავი ქარვა (გიშერი) კიდევ უფრო იშვიათი წიაღისეულია. ამიტომაც მესხებში ის ყვითელზე მეტად ფასობდა. შავი გიშრის მძივი ბავშვებში თავის ტკივილის, შეშინების, წითელას საწინააღმდეგო კარგ საშუალებად ითვლება.

ძველი საბერძნეთი და რომი იცნობდნენ და აფასებდნენ ქარვას. რომში ქარვის თასში ახალგაზრდა ჯანსაღ მონას იძლეოდნენ ... ეტყობა, შუა საუკუნეებში არსებობდა წარმოდგენები ქარვის "მაგიურ თვისებაზე" და ის თილისმად და ჩიყვის, ანგინის, ციებ-ცხელების და ბევრი სხვა დაავადების სამკურნალო საშუალებად იქცა. რუსული სიტყვა "янтарь" (ქარვა), როგორც ჩანს, წარმოიშვა ლიტვური სახელწოდებიდან "gintaras".

გათვალვის საწინააღმდეგო მძივი

მესხები მას ავადმყოფი ბავშვებისა და საპატარძლოების ტანსაცმელზე აკერებდნენ. ზოგჯერ ამ მძივს მეწველ ძროხებს, ხბოებს, ცხენებს და ა. შ. აბამენ კისერზე ან რქებზე. ეს ბუნებრივი წარმომავლობის ოვალური ან მრგვალი მოყვანილობის პატარა ქვაა. გათვალვის სწინააღმდეგო მძივი, როგორც წესი, ცისფერია და ზედ შავი წერტილები აქვს, თუმცა თეთრწერტილებიანი შავი მძივებიც გვხვდება. მძივზე 1-დან 3-მდე ასეთ მარცვალს აცვამენ, მძივის დანარჩენი მარცვლები კი შეიძლება ნებისმიერი მოყვანილობის, მასალისა და ზომის იყოს. უფროსი ასაკის და ხანდაზმული ადამიანები ასეთ მძივებს ტანსაცმლის ქვეშ ატარებენ და არა ზემოდან, სხვათა დასანახად. ისინი მძივებს მარტო ყელზე კი არ იკეთებენ, არამედ მარცხენა მაჯაზეც და მარცხენა კოჭზეც. გათვალვის საწინააღმდეგო მძივებს ჩვილებს აკვნებზეც ჰკიდებენ და თავად ბავშვებსაც უკეთებენ კისერზე ან მაჯაზე.

როგორც უკვე ითქვა, არსებობენ "ავი თვალის" მქონე, ანუ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ვიღაცის გათვალვა შეუძლიათ. ქორწილებში, დღესასწაულებზე, სტუმრად, სხვა თავყრილობებზე იმის დიდი ალბათობა არსებობს, რომ იქ "ავი თვალის" მქონე ადამიანები აღმოჩნდებიან. ამიტომაც ასეთ ადგილებში ბავშვებს, ლამაზებად მიჩნეულ საპატარძლოებს, განსაკუთრებით კი ქალიშვილებს საკუთარ ქორწილში აუცილებლად უნდა ჰქონდეთ გათვალვის საწინააღმდეგო მძივი. ისინი კი, ვინც ეს გაფრთხილებები უგულვებელყვეს და ამგვარი მძივის გარეშე გამოცხადდნენ და ამის შედეგად გათვალულები აღმოჩნდნენ, თვალისგან გასათავისუფლებლად "ჯინდართან" მიჰყავთ. დღეს თითქმის ყველა სოფელში, სადაც კი მესხები ცხოვრობენ, ჯერ კიდევ ჰყავთ თითო ასეთი ჯინდარი.

მაშალაჰი

ითვლება, რომ გათვალვის გარდა, ავადმყოფობებს პატრონი-სულებიც იწვევენ. ამ ავი სულებისგან თავის დასაცავად პატრონი-სულებით

დასახლებულ ადგილებზე გავლისას ადამიანმა თან აუცილებლად უნდა იქონიოს მაშალაჰი. ეს ავგაროზი სიბნელეში პატრონი-სულებით დასახლებული ადგილების გავლის შემდეგ კოშმარებს მოკლებულ მშვიდ ძილსაც უზრუნველყოფს.

ბავშვის დაბადებას ძველთაგანვე დიდი სიხარული ან ასეთივე უბედურება ახლავს თან. მშობიარობისას შეიძლებოდა ორი უბედურება მომხდარიყო - მკვდარი ბავშვის დაბადება ან დედის სიკვდილი. მესხების წარმოდგენით შეიძლებოდა ერთიც და მეორეც გათვალვის ან ბოროტი პატრონი-სულების ზემოქმედების შედეგი ყოფილიყო. მშობიარობისას დედის სიკვდილის საწინააღმდეგოდაც მაშალაჰის ტარება იყო საჭირო. დღეს იქ, სადაც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება მაღალი დონისაა, ამგვარ რამეს ვერ შეხვდებით. თუმცა ხანდაზმული ქალების დაჟინებით, როგორც პროფილაქტიკური საშუალება, მაშალაჰს ზოგჯერ მაინც მიმართავენ.

ძველად ვერცხლის მაშალაჰს ახალციხელი ქართველი, სომეხი, ლეკი ოქრომჭედლები ამზადებდნენ. ეს ავგაროზი მრგვალი მოყვანილობისაა და მონეტას მოგვაგონებს. მის ზედაპირზე სხვადასხვა ნახჭები გამოჰყავდათ, შუაში კი, პატარა წრეში მსხვილი არაბული ასოებით ტვიფრავდნენ სიტყვას "მაშალაჰი", მის გარშემო ამავე სიტყვას რამდენჯერმე წერდნენ, ოღონდ უკვე პატარა ასოებით. თუ ავგაროზი ბიჭისთვის იყო გამიზნული, მას ნახვრეტს უკეთებდნენ, შიგ ძაფს უყრიდნენ და თავსაბურის წვერზე აკერებ-დნენ. გოგონებსა და ახალგაზრდა რძლებს კი ფუსტანის (ქალის ტანსაცმელი) მკერდზე აკერებდნენ.

ჩვენს დროში მესხებს ჯერ კიდევ ახალციხეში დამზადებული ეს ავგაროზი შემორჩათ. თუმცა მესხების დაკვეთით მათ სხვა ოქრომჭედლებიც აკეთებენ მესხების დღევანდელი საცხოვრებელი ადგილისდა მიხედვით. ამგვარ მაშალაჰებს თავად მესხი ოქრომჭედლებიც ამზადებენ.

მატაური

ეს ავგაროზი წარმოადგენს კაკლისოდენა მოგრძო ოვალურ ქვას. მის ცენტრში კეთდება ნახვრეტი ძაფის გასაყრელად და მძივის სახით კისერზე ჩამოსაკიდებლად ან ტანსაცმელზე ქინძისთავით დასამაგრებლად. ამ ქვას წინასწარ კიდეებზე თვალის საწინააღმდეგო თითო მძივს ააცვამენ.

მატაური, როგორც ავგაროზი თაობიდან თაობას გადაეცემა. ეს ქვაა, ოღონდ ჩვეულებრივი არა. ის სეტყვის დროს ვარდება ციდან. მესხეთი მაღალმთიანი მხარეა და სეტყვა აქ ხშირი მოვლენაა. ყოველი სეტყვის შემდეგ მიწაზე ყველა ეძებდა ხოლმე ამ ქვას. ავგაროზის სახელწოდება იმ დაავადების სახელწოდებიდან მომდინარეობს, რომლის წინააღმდეგაც ის გამოიყენება. არსებობს "მატაურის" დაავადების რამდენიმე ნაირსახეობა. ეს შეიძლება იყოს ქალის უშვილობა, მუცლის მოშლა, აგრეთვე ჩვილის სიკვდილი დაბადების უმალ. თუ ბავშვი ვიღაცამ გათვალა, მატაურის ქვა ამასაც შველის.

ქვები ციდან ყოველდღე არ ცვივა. ამიტომაც ეს ავგაროზი დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ამის გამო მას უფრო ხშირად ქირაობენ ხოლმე. ქირის ჩვეულებრივი ფასი XX საუკუნის დამდეგს ერთი მაჟარი (ოქროს მონეტა) იყო. მატაურს იმ შემთხვევაში იყენებენ, თუ ჯერ არშობილ ჩვილთან დაკავშირებით რაღაც შიში აქვთ, მას ორსულ ქალს ჰკიდებენ კისერზე. ჩვეულებრივ, ქალები მატაურს მთელი ფეხმძიმობის მანძილზე ატარებენ, მერე კი კიდევ ცხრა თვე ის ბავშვს აქვს კისერზე ჩამოკიდებული. თუ ბავშვი ჯანმრთელია, ყოველგვარი გადახრების გარეშე, მატაურს პატრონს უბრუნებენ. თუ ახალშობილის ნათესავები მდიდრები არიან, მატაურის პატრონს საჩუქარს მიართმევენ - ცხვარს, ხბოს ან ძროხასაც კი.

შეიძლება მატაური არა მხოლოდ ავგაროზის სახით იქნეს გამოყენებული. ბოროტ ადამიანებს შეუძლიათ ჩვილის გასათვალვად გამოიყენონ იგი. თუ მტერს ზიანის მიყენება უნდა, ის ამ ქვას ჩაბღუჯავს და შევა სახლში, სადაც ჩვილი ჰყავთ. მაშინ ბავშვი ლურჯდება და ხროტინს იწყებს. ზოგჯერ ბავშვის მშობლები ხვდებიან, რომ ვიღაცამ მატაურის მეშვეობით ავნო ბავშვს. მაშინ მიდიან იმ სახლში, სადაც ეს ქვა აქვთ, იღებენ ხმალს და ჯვარედინად ადებენ მატაურს. თუ ყრმა მართლაც ამ ქვით გაითვალა, ხმლის ქვეშ მატაური ტრიალს დაიწყებს, ხმალი კი ამ დროს უძრავად დარჩება. ასე თავისუფლდება ბავშვი თვალისგან და ჯანმრთელდება. მაგრამ ბოროტ განზრახვაში კონკრეტულად არავის ადანაშაულებენ და მეტადრე - ქვის პატრონს. სოფლის ყრილობებზე ხალხს სთხოვენ არ შევიდნენ იმ სახლში, სადაც ჩვილია (შეიძლება ადგილი ჰქონდეს გათვალვას, თვალის კვრას და ა.შ.). განსაკუთრებით აფრთხილებენ, რომ მატაურის საშუალებით არ გათვალონ. მაგრამ თუ იმ სახლში, სადაც 40 დღეზე ნაკლები ასაკის ჩვილი ჰყავთ, უცხო ვინმე შედის, მას ხელში უმალ აჭერინებენ ჩვილს და თითქოს ამით ახვედრებენ, რომ თუ მას ბავშვი უჭირავს ხელში, ის მას ვერაფერს ავ-ნებს, პირიქით, ბავშვი მოსულის მფარველობის ქვეშ ექცევა.

შეგროვილ მასალებში მრავლადაა მონაყოლი ამ ქვის "სამკურნალო" თვისებების შესახებ. მესხებში ისეთი რწმენაც არსებობს, რომ მშობიარობისას დედისა და ბავშვის დაცვა სხვა გზითაც შეიძლება: მშობიარეს ბალიშის ქვეშ ხანჯალს, დანას ან სხვა ცივ იარაღს უდებენ.

წმინდა საფლავები

იმ ტრადიციების ანალიზისას, რომლებმაც მესხებში წმინდა საფლავების კულტის სპეციფიკა შეადგინეს, უნდა აღინიშნოს მოვლენა, რომელიც ბოლო დრომდე სპეციალისტთა სათანადო ყურადღებას არ იმსახურებდა. მესხეთის ტერიტორიაზე ბოლო საუკუნეების მანძილზე ისლამიზაციისა და ისლამის ადგილობრივ ტრადიციებთან გადახლართვისა და მოსახლეობის რწმენაში მომხდარი ცვლილებების შედეგად გავრცელდა წმინდა საფლავების თაყვანისცემა. მესხეთში რამდენიმე ასეთი საფლავია.

ერთ-ერთი მათგანი ახალციხის რაიონის სოფელ აწყურშია. აქ ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებში დასახლდა ორი უცხო ადამიანი. მათი ვინაობა უცნობია. ყვებიან, რომ ეს ადამიანები მღეროდნენ სიმღერებს, კითხულობდნენ ლექსებს, ყვებოდნენ ხალხურ თქმულებებსა და ლეგენდებს. არც ერთი ქორწილი, სამგლოვიარო ცერემონია, დღესასწაული არ ჩაივლიდა მათი მონაწილეობის გარეშე. როდესაც გარდაიცვალ--ნენ, ისინი აწყურის საერთო სასაფლაოზე კი არ დაკრძალეს, სადაც მხოლოდ მკვიდრი მაცხოვრებლები იმარხებოდნენ, არამედ - განაპირას. რადგან მათ არავინ ჰყავდათ, ამ ადამიანთა საფლავებს მთელი მოსახლეობა უვლიდა. დროთა განმავლობაში რწმენამ, ლეგენდებმა და ადგილობრივმა ტრადიციებმა თავისი ქნეს. ხალხმა ეს საფლავები წმინდად მიიჩნია. აქ სხვადასხვა სნეულებათაგან განკურნების იმედით მოდიოდნენ მომლოცველები. ამ ადგილის მონახულების შემდეგ ავადმყოფთა განკურნების ყველა შემთხვევა საფლავთა მოქმედების შედეგად ითვლებოდა. მაგალითად, ყვებიან, რომ ამ საფლავებზე დამბლადაცემული მოიყვანეს, სამჯერ შემოატარეს საფლავები და მან სიარული დაიწყო. ამბობენ, რომ როცა ცხენი ან სხვა ცხოველი დაავადდებოდა, მათაც საფლავს შემოატარებდნენ ხოლმე. ამ საფლავებთან მომლოცველობა მესხებში ღვთივ სასურველ საქმედ ითვლებოდა და ჰაჯის ტოლფასი იყო.

ამ მაგალითით ჩანს, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული, მესხეთში ისლამის ბატონობის მიუხედავად, აქ ადგილობრივ ტრადიციებთან შერწყმით ისლამისთვის უცხო იდეებიც დამკვიდრდა. ამგვარად, აქ მოყვანილი რწმენა მხოლოდ გარეგნულად გამოიყურება მაჰმადიანურად, თუმცა არსებითად, ის ისლამის პრინციპების საწინააღმდეგოა. ეს გადმოცემა არაორაზროვნად მიანიშნებს მორწმუნე მესხებს, რომ შეიძლება მომლოცველობა ქააბში - ისლამის ხუთი დანაწესიდან ერთ-ერთი - არ აღასრულონ.

სამკურნალო მაგია მესხებში

როგორ განვკურნოთ წითურა. ამ დაავადების დროს ადამიანს ტანზე წითელი ლაქები უჩნდება. იღებენ ხის ნახშირს და წითელ-ყავისფერი ძროხის რძიან ქვაბში უშვებენ. მერე ქვაბს გარეთ გაიტანენ და მთელი ღამით ტოვებენ იქ, რათა "მთვარემ და ვარსკვლავებმა ჩაიხედონ შიგ". დილით მზის ამოსვლამდე რძე მიაქვთ და ამ რძით ავადმყოფს ტანზე ლაქებს მოწმენდენ.

ავადმყოფობის "გადაძლევა". იღებენ ნახევარ ჭიქა წყალს. ავადმყოფი და მკურნალი ერთმანეთის პირდაპირ სხდებიან. მკურნალი იწყებს ლოცვების კითხვას წყლის მიმართ. თითქოს შეულოცავსო და დრო და დრო პაციენტს სახეში უბერავს. თუ ის მართლაც ავად არის, მკურნალი მთქნარებას იწყებს და თვალებიდან ცრემლები სდის. ამგვარად მკურნალი ავადმყოფობას თავისკენ გადმოქაჩავს და ავადმყოფობა მის ცრემლებთან ერთად გადის. ამთქნარებს პაციენტიც. როდესაც მთქნარება იშვიათდება, სეანსი მთავრდება. ავადმყოფი სვამს შელოცვილ წყალს. ამბობენ, რომ საკმარისია მკურნალმა რიტუალის მხოლოდ პირველი ელემენტები შეასრულოს, რათა იგრძნოს, რომ ადამიანი მის დახმარებას არ საჭიროებს - ეს არის მთქნარების შეწყვეტა, აღარც ცრემლებია და ის დაძაბულობას აღარ გრძნობს. მაშინ "ავადმყოფს" გაავებით აგდებენ. ცოდვად ითვლება, თუ შენ დახმარებისთვის მიმართავ იმ შემთხვევაში, თუ ის არ გჭირდება.

თავის ტკივილის მოხსნა. თუ ადამიანს ძალიან სტკივა თავი, მას რბილ ქსოვილს ისე შემოახვევენ, რომ კეფა დაუფარავი დარჩეს. იღებენ ხელის დოლაბის ქვედა ნაწილს, რომელშიც მარცვალს ფქვავენ და ფრთხილად ადებენ კეფაზე. ადამიანს თავი ისე უნდა ეჭიროს, რომ დოლაბი დამოუკიდებლად გაჩერდეს. როგორც კი წრე დაიდგმება და ცენტრიც დადგინდება, ის თვითონ დაიწყებს თავზე ბრუნვას. რაც უფრო ძლიერია თავის ტკივილი, მით უფრო დიდხანს იტრიალებს იგი. როგორც კი დოლაბი გაჩერდება, შეიძლება ის მოიხსნას (ეს დოლაბი დაახლოებით 10კგ-ს იწონის).

შიშის მოსახსნელი საშუალება. თუ ადამიანი რაღაცამ ძალიან შეაშინა, მან მწვანე ხახვის თავი უნდა ჩაკბიჩოს და შვიდი გზის გასაყარზე ჩაფლას მიწაში. შიში მიატოვებს ადამიანს.

თუ ბავშვი ფეხზე ვერ დგება. წინათ სამ საშუალებას მიმართავდნენ:

1.ბებიაქალი ან მეანი, რომელმაც ის მიიღო, იხდის თავის პერანგს და ბავშვს აცმევს.

2.იღებს თითისტარს, აძრობს ქვედა რგოლს (შუაში ნახვრეტით). ამ ნახვრეტიდან ცივ წყალში გამდნარ ცვილს აწვეთებენ. წყალში რომ მოხვდება, ცვილი პატარ-პატარა საოცარ ფიგურებად გადაიქცევა. ამ ფიგურებს ცხელ წყალში ადნობენ და ბავშვს შიგ აბანავებენ.

3.შვიდ სახლში აგროვებენ შვიდ ხის კოვზს, ადუღებენ მათ წყალში და მერე ბავშვს ამ წყალში აბანავებენ.

როგორ აქრობენ მეჭეჭებს. არსებობს ორი ხერხი:

1.იღებენ მსხვილ ქვამარილს და გამოლოცვებით უსვამენ მეჭეჭებზე. მარილი აუცილებლად ყველა მეჭეჭს უნდა წაესვას. თუ ერთი მაინც გამორჩება, საშუალება არ გაჭრის. მერე მარილს წყალში აგდებენ და მზეზე დგამენ, წყალი რომ აორთქლდეს.

2.იღებენ ბზის ნორჩ ტოტს. დაიჭერენ მას ყოველი მეჭეჭის თავზე და შელოცვებით თანდათანობით ზედ პატარ-პატარა ნასერებს უკეთებენ (ისეთებს, როგორც სალამურზე ნახვრეტებს თითებისათვის). შემდეგ ამ ტოტს ღუმელის საკვამურში დებენ და ის იქ დაიწვება. მეჭეჭები ქრება.

მესხთა სარწმუნოებაში ისლამამდელი და ქრისტიანობამდელი ელემენტების თანამედროვე როლის საკითხს მეცნიერული აქტუალურობაც გააჩნია და პრაქტიკულიც. ქართული ეთნოსის ამ ნაწილში რელიგიურ სარწმუნოებათა განვითარების პროცესში, როგორც ვნახეთ, ზოგიერთი წარმართული წარმოდგენები და რიტუალები უფრო მედეგი გამოდგა, ვიდრე რიგი მნიშვნელოვანი იდეებისა და დანაწესებისა. მესხთა რელიგიურობის განხილვა მათ მიერ აღიარებულ გამოდევნილ რელიგიათა მემკვიდრეობისაგან განყენებულად შეუძლებელია. ამიტომაც მაჰმადიან მესხთა სარწმუნოებები შემდგომ კვლევებს მოითხოვს

მარატ უდელი